პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 მარტი ოთხშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 70 (14674)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე ოსტატები

ვლასტმასის ქარხანაში საუკეთესო პროდუქციის გამოშვებით სახელი გაითქვეს დამმუშავებელმა მ. არგუნაშვილმა, ზეინკლებმა ე. ბერიაშვილმა და პ. ტარასენკომ. ისინი თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები არიან, ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, ამასთან მათს ნაწარმს აღარ სჭირდება ტექნიკური კონტროლი; „პირადი დამღის“ უფლება ოსტატებმა კარგა ხანია მოიპოვეს, და ახლა მათი მაგალითით საწარმოში ბევრი მუშა შრომობს.

მოწინავე ოსტატები პირველნი ჩაებნენ წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის გაწეულ შეჯიბრებაში.

სურათზე: დამმუშავებელი მ. არგუნაშვილი, ზეინკლები ე. ბერიაშვილი, პ. ტარასენკო.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გავუფრთხილდეთ საფაბრიკო მარკის ღირსებას

საწარმოთა მაღალი ტექნიკური შეიარაღების პირობებში განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნები ნაკეთობათა ხარისხისადმი, საიმედოობისა და განგამძლეობისადმი. რაც უფრო სრულყოფილია პროდუქცია, მით უფრო ეფექტიანი და ნაყოფიერია საზოგადოებრივი შრომა. წარმოების ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენ ხანს იმუშავებენ ჩარხები, დაზგები, მანქანები, აგრეგატები, როგორია მათი ხარისხი და ეკონომიურობა. უველაფერი, რაც მზადდება საბჭოთა ხალხის ყოველდღიური საჭიროებისათვის, უნდა იყოს ხარისხიანი, მოსახერხებელი, თანამედროვე მოდისა და ლამაზი.

დღეს სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება პარტიას და მთავრობას ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საკითხად მიაჩნიათ. ეს საკითხი კვლავ მთელი პრინციპულობით დასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“, სადაც ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდასთან განუყრელად დაკავშირებულია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში შეიქმნა მრავალი სახის პროდუქცია, რომელმაც მომხმარებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. დღეს საქართველოს მარკით პროდუქცია იგზავნება არა მარტო მოძმე რესპუბლიკებში, არამედ საზღვარგარეთის ათობით ქვეყანაში. მაგალითად, თბილისის მეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის პროდუქციამ თავისი სიზუსტითა და საიმედოობით სახელი გაითქვა მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის წყალსატუმბავები, საშახტო ელმავლები უკვე კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და მოწონებით სარგებლობს.

მაგრამ დასამალავი არ არის, რომ ჯერ კიდევ ბევრი ფაქტია, როცა ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელები ისწრაფვიან რადაც უნდა დაუჯდეთ შეასრულონ გეგმა რაოდენობის მიხედვით და ნაკლებად ზრუნავენ ნაკეთობათა ხარისხისათვის, გარეგნობისათვის, ნელა ნერგავენ ლონისძიებებს ტექნიკური დონის გაუმჯობესებისათვის. ზოგჯერ ახალი მოდელის ათვისებასა და მის მასობრივ წარმოებას ისე აგვიანებენ, რომ ის წარმოებაშივე ბერდება და მომხმარებელი მას ვერ ნახულობს.

რედაქციისთვის მოდის მრავალი წერილი, რომელთა ავტორები გულისტკივილსა და საყვედურს გამოთქვამენ რესპუბლიკის ზოგიერთი ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამოშვებული უხარისხო პროდუქციის გამო.

რესპუბლიკის ფეხსაცმლის ზოგიერთმა ფაბრიკამ სახელი გაიტეხა. მათს ნახელავს მომხმარებელი ხალისით არ ეტანება. თბილისის თითქმის ყველა მაღაზიაში ვხვდებით უკან დაბრუნებულ ფეხსაცმელს. უფრო მეტიც, რესპუბლიკურ ბაზაში აღრიცხულია რამდენიმე შემთხვევა, როცა მოძმე რესპუბლიკებიდან ფეხსაცმელი როგორც მომხმარებლისათვის უყარგისი, უკან დაბრუნეს.

ფეხსაცმლის ხარისხისა და ასორტიმენტისადმი უყურადღებობას რომ იჩენენ, საფაბრიკო მარკის ღირსებას რომ არ უფრთხილდებიან, ამაზე ნათლად მეტყველებს ერთ-ერთ ძირითად ფეხსაცმლის რესპუბლიკურმა ბაზამ საქართველოს ფეხსაცმლის საწარმოებს უხარისხო პროდუქციისათვის 120 ათასი მანეთი გადაახდევინა. ცხადია, ეს ციფრები გაცილებით უფრო დიდი იქნება, თუ ამას მივუმატებთ სხვადასხვა დიდი სავაჭრო ორგანიზაციების მიერ გადახდევინებულ ჯარიმებს.

წუნის გამოშვებაში განსაკუთრებით „ისახელეს თავი“ რესპუბლიკის ისეთმა დიდმა საწარმოებმა, როგორიც არის თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა და ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი.

დუშეთში მცხოვრები, სამამული ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი ტ. ოქრუაშვილი გვწერს, რომ ქსნის აგურ-კრამიტის ქარხანაში შეიძინა 2.000 ცალი კრამიტი და შენობა გადახურა. რამდენიმე თვის შემდეგ კი კრამიტის დიდი უმრავლესობა დაიშალა. სახურავიდან წვალი ჩამოდის. რამდენჯერმე მივმართე ქარხნის ხელმძღვანელობას, მაგრამ ჩემი განცხადება უყურად არ იღებს. ეს საყურადღებო ფაქტია.

თანამედროვე წარმოების პირობებში, სადაც ფართოდ არის განვითარებული საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება, ერთი ადამიანის—თავისი საქმის ოსტატის კარგი შუშაობა ამსუბუქებს შრომას სხვა უბანზე, ადიდებს საერთო წარმადობას. და, პირიქით, თუ შენ დღეს გამოუშვი თუნდაც სულ მცირე წუნი, რომელიც კონტროლიორს არც კი შეუმჩნევია, სულ ერთია, ეს ზარალს მოუტანს ჩვენ საზოგადოებრიობას, მაშასადამე, პირადად შენც.

მართლაც, ერთეული შემთხვევები როდია, როცა კოოპერირების წესით მიღებული ნაკეთობათა უხარისხობის გამო საწარმო მოცდა, შრომის რიტმი დაირღვა, გეგმა ვერ სრულდება.

აღნიშნული ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის პროდუქციის სრულყოფისათვის, საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის. ყველა ფაბრიკა-ქარხნის ხელმძღვანელს, როდი აქვს ღრმად შეგნებული, რომ უხარისხო ნაწარმის გამოშვება ამცირებს წარმოების ეფექტიანობას, ადიდებს პროდუქციის თვითღირებულებას, ზედმეტად იხარჯება ძვირფასი მასალები და ნედლეული. დიდი ზარალი ადგება ეკონომიკას.

ნაწარმის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ახლანდელ ეტაპზე. ეკონომიურმა რეფორმამ კიდევ უფრო აამაღლა ამ მიზნებების როლი.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ პროდუქციის მაღალ ხარისხს აღწევენ იქ, სადაც ზუსტად იცავენ ტექნოლოგიას, სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს. სადაც ტექნიკური კონტროლის სამსახურები დეფექტებს აღმოფხვრიან თვით წარმოების პროცესში.

სწორედ ახე სვამენ საკითხს მუშათა კრებების მონაწილენი, როცა განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს. ისინი მწვავედ აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს, მოურიდებლად ლაპარაკობენ და დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ წუნი შემარიგებლობის შედეგია. თუ მუშაკს უბეიერო ნახელავი ერთხელ შერჩა, შემდეგ აღარც კი ამჩნევს ამ ნაკლს.

საჭიროა პარტიულმა, პროფკავშირულმა და სხვა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელობამ, საზოგადოებრიობამ მეტი ყურადღება მიაქციონ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობას კარგი პროდუქციის გამოშვებისათვის, კოლექტივში შექმნან შეურიგებლობის ვითარება ტექნოლოგიური და შრომითი დისციპლინის ყოველგვარი დარღვევისადმი. ყველა საწარმოში უნდა მოქმედებდეს მაღალი ოსტატობის, კეთილსინდისიერების, ინიციატივის მორალური და მატერიალური სტიმულირების ეფექტიანი სისტემა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც დიდი გაცხოველებით ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად და ნარმატებით იბრძვიან ხუთწლედის ვადამდე განაღდებისა და ნაკლარ ვალდებულებათა შესრულებისათვის, უურადღების ცენტრში უნდა დააყენონ პროდუქციის ხარისხი. პარტიულმა ორგანიზაციებმა ქმედითი კონტროლი უნდა დაამყარონ ნაკეთობათა სრულყოფისათვის, სისტემატურად მოიხსენონ ხელმძღვანელთა ანგარიშები ამ საკითხებზე.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხუთწლედის დამთავრებამდე ყველა თვითთულმა კოლექტივმა გამოუშვას მაღალი ხარისხის პროდუქცია. ისეთი ნაწარმი, რომორსაც მოითხოვს საბჭოთა მარკის ღირსება, კომუნისტური მუშაობის ინტერესები.

ლ. სეოგოლა მოსკოვიდან გაემგზავრა

24 მარტს მოსკოვიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუდოვიკ სვობოდა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მიემართება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და იაპონიაში. (საკდესი).

ქუთაისი-ჟაღაჟე!

ქუთაისიდან — 40 ქვეყანაში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოები ახლა ცხრაასამდე სახის სხვადასხვა პროდუქციას უშვებენ. ქუთაისის მარკის ნაწარმს არა მარტო ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში იცნობენ.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნიდან ავტომობილის წინა და უკანა ხიდები, სიჩქარეთა კოლოფები, აგრეთვე სხვა კვანძები და სათადარიგო ნაწილები იგზავნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, აგრეთვე ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, კუბაში, სირიაში, ერაყში, ნეპალსა და ბევრ სხვა ქვეყანაში.

ელექტრომექანიკურ მა ქარხანამ, რომლის პროდუქციას ოცამდე ქვეყანაში იცნობენ, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში არტეზიული წყალსატუმბავები, საშახტო ელმავლები და სათადარიგო ნაწილები გაგზავნა კუბაში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ირანში, მონღოლეთსა და სხვა ქვეყნებში. ქარხნის საექსპორტო პროდუქციის წილს შეიმატა საშახტო ელექტროლამპრები, რომელთა პირველი პარტიები იგზავნება უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და ირანში.

ლითოფონის ქარხანამ ემულსიური საღებავები გაგზავნა ავღანეთში, ხოლო შაბიამანი — ირანში. საგრენაჟო ქარხნიდან კრანების ნარჩენი ტერსე-მარკა გაიგზავნა შვეიცარიაში.

საუკეთესონი თავიანთ პროფესიაში

ბათუმი. (საკ. კორ.). ზღვაოსნებსა და ნავსადგურის მუშებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება პროფესიაში საუკეთესოს სახელის მოპოვებისათვის. ამ დღეებში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საბჭომ და საზღვაო ფლოტის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს შეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულთ მიანიჭეს საუკეთესოს წოდება.

საუკეთესო კაპიტნის წოდება მიენიჭა ტანკერ „ალექსეევკის“ კაპიტანს ჯ. იწყირველს, კაპიტნის საუკეთესო თანაშემწისა — ტანკერ „ალაიბეგის“ კაპიტნის მეოთხე თანაშემწეს თ. მეკვანაძეს, უფროსი მექანიკოსისა — „ანაკლიის“ უფროს მექანიკოსს ა. ტაბიძეს. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პერსონალი სისტემატურად იმაღლებს პროფესიულ დონეს.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲜᲘ

რუსეთის სფსრ მწერალთა მესამე ყრილობა

მოსკოვი, 24 მარტი. (საკდესი). დღეს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა მესამე ყრილობა.

დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ი. ვ. კაბანოვს, კ. თ. კატუშევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს,** რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის სამუშაო ორგანოები: პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო და საredაქციო კომისიები.

დაამტკიცეს შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენებებს გააკეთებენ: პროზის საკითხებზე — რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **მიხეილ ალექსეევი,** პოეზიის საკითხებზე — რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ვასილ ფედოროვი,** დრამატურგის საკითხებზე — რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **მუსტაი კარიმი,** საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე — რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **აგნია ბარტო.**

2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3. რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის ბილმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს გარდაცვლილ მწერალთა ხსოვნას.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ლეონიდ სობოლევმა.**

ლენინმა — ახალი ტიპის პარტიის შემქმნელმა, თქვა მან, განსაზღვრა ლიტერატურის ადგილი მსოფლიო-ისტორიულ მოვლენათა განვითარებაში და მას უწოდა საერთო-პროლეტარული, საერთოსახალხო საქმის ნაწილი, მის წამყვან ლოზუნგად გამოაცხადა ლიტერატურის პარტიულობის ურყევი პრინციპი. ლიტერატურის პარტიულობა — ეს არის რაღაცდენილ ერთგულება დროშისადმი, რაიხდენელ ერთგულება თავისი მოვალეობისადმი: ჩვენი დროშა ლენინური დროშაა, ჩვენი მოვალეობა რევოლუციაა. ჩვენი ამოცანაა ლიტერატურულ ლაშქრობაში რაიხდენელად ვატაროთ მომავლისაკენ ლენინის იდეისა და მისი განმხორციელებელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დროშა.

ამას ემყარებოდა და კვლავაც დაემყარება ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი ლიტერატურა, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, ეს არაერთხელ დოქტრაცებიათ საბჭოთა რუსეთის მწერლებს ჭიშში და ლხინშიც.

ჩვენი დროის დაძაბულ იდეოლოგიურ ბრძოლაში ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ პრინციპს განსაკუთრებული — საბრძოლო მნიშვნელობა აქვს. და სწორედ ახლა, როცა ახლოვდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დიდი თარიღი, მტკიცედ უნდა ვთქვათ აქ, ჩვენს ყრილობაზე, რომ ჩვენ, რუსეთის ფედერაციის მწერლები, კომუნისტებიც, ყველანი ჩვენ ლენინელები ვართ და ყველანი ვიბრძოლებთ ჩვენი იარაღით — ლიტერატურული ოსტატობით — ლენინის იდეებისათვის. ბედნიერია ყოველი ჩვენთაგანი, ვინც თავისი მხატვრული სიტყვით შეძლო ან შეძლებს მოაახლოვოს ეს გამარჯვება.

ლეონიდ სობოლევმა გამოთქვა რწმენა, რომ ყრილობაზე წარმართველი ძალა იქნება მისწრაფება რაც შეიძლება უკეთ გადავჭრათ ლიტერატურული პრაქტიკის საკითხები და, რომ ამისათვის ერთადერთი კრიტერიუმი იქნება უმთავრესი მოსაზრება: თავისებურად ესა თუ ის ნაწარმოები საჭირო, სასარგებლო უნდა იყოს საერთო-სახალხო, საერთო-პროლეტარული საქმისათვის — კომუნიზმის მშენებლობისათვის, გმირობისათვის, რომელიც ლენინმა გვიანდერძა.

დილის სხდომაზე **მოხსენება პროზის საკითხებზე** გააკეთა რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა **მიხეილ ალექსეევმა.**

კანდიდატთა დასახელება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში იწყებს ჩვენი ქვეყანა საარჩევნო კამპანიას სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ახლანდელ საარჩევნო კამპანიას განსაკუთრებულ პოლიტიკურ აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ იგი იწყება იმ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, იუბილეს წინა დღეებს აღნიშნავენ ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. თვითეულ დღეს სასიხარულო ცნობები მოჰქვს შრომითს გამარჯვებებზე, შემოქმედებითს მიღწევებზე. კომუნისტური მშენებლობის თანამდროვე ეტაპზე პარტიის მიერ წამოყენებულ ამოცანათა წარმატებით შესრულებაში ახალი წვლილი იქნება საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშაკთა მიერ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება 1970 წლის გეგმის ვადამდე რეალიზაციის შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადება აღნიშნონ ახალი პატრიოტული საქმეებით.

24 მარტს დაასახელეს კანდიდატი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

...კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა. აქ შესვენებაზე გაიმართა ამ მრავალათასიანი საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება. ისინი შეიკრიბნენ იმისათვის, რომ თავიანთ წარმომადგენელი დასახელებინათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში. კრება შესავალი სიტყვით გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ლ. ბოგელიანმ.

ტრიბუნაზეა კიროვის სახელობის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. ს. ბიბილეიშვილი. ქარხნის კოლექტივის სახელით მან წინადადება წამოაყენა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელონ კომუნისტური შრომის დამკვრელი, სინსტრუმენტო საამქროს ხარატი ზურაბ გიორგის-ძე სარალიძე.

ორატორმა იგი დაახასიათა როგორც ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო ხარატი, ადამიანი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი საპატიო მოვალეობა. ზ. გ. სარალიძე არის „სპეციალური ნიშნის“ ორდენის კავალერი, დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს წარჩინებული“. ხარისხის წარჩინებული, რაციონალიზატორი, იგი პროდუქციას აბარებს ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში წარუდგენლად, თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს საწარმოს ახალგაზრდა მუშაკებს. ზ. გ. სარალიძემ ხუთწლიანი დავალება ჯერ კიდევ 1969 წლის აპრილში შეასრულა და ახლა ლენინური საიუბილეო წიგნაკით მუშაობს.

დასახელებულ კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მისმა ამხანაგებმა საინსტრუმენტო საამქროს ხარატმა ბ. ა. ბაშარულმა, № 1 მექანიკური საამქროს მოარავმა ზ. დ. თაბუკაშვილ, ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს პატენტმცოდნეობის განყოფილების უფროსმა ს. ა. ივანინძემ.

საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება ჩარხსშენებელთა კოლექტივის სახელით სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასასახელონ ზურაბ გიორგის-ძე სარალიძე. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲔᲑᲘ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 34-ე მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 24-ე და 26-ე მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 24 მარტის ბრძანებულებით შეიქმნა კავშირის საბჭოს არჩევნების 767 საარჩევნო ოლქი, აქედან საქართველოს სს რესპუბლიკაში:

676. თბილისის — პირველი მაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, პირველი მაისის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის პირველი მაისისა და ლენინის რაიონები. მცხეთის რაიონი.

677. თბილისის — კალინინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, კალინინის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის კალინინის, კიროვოსა და 26 კომისრის სახელობის რაიონები.

678. თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ორჯონიკიძის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონი და თეთრი წყაროს, თიანეთისა და წალკის რაიონები.

679. თბილისის — ოქტომბრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ოქტომბრის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონი და გარდაბნის, დუშეთის, ყაზბეგისა და საგარეჯოს რაიონები.

680. ბათუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). აჭარის ასსრ.

681. გორჯომის საარჩევნო ოლქი (ცენტრი ქალაქი ბორჯომი). ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონები.

682. გორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გორი). ქალაქები გორი და ცხინვალი და გორის, ჯავის, ზნაურის, ქარელის, კასპის, ლენინგორიხა და ცხინვალის რაიონები.

683. გურჯაანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გურჯაანი). ახმეტის, გურჯაანის, უვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღისა და თელავის რაიონები.

684. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზესტაფონი). ქალაქი ჭიათურა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებით და ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, საჩხერისა და თერჯოლის რაიონები.

685. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზუგდიდი). ქალაქი ზუგდიდი და გალის, ზუგდიდის, მესტიის, ოჩამჩირის, ხობისა და წალენჯიხის რაიონები.

686. ქუთაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქუთაისი). ქალაქები ქუთაისი და ტყიბული საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებით და ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის რაიონები.

687. ფოთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ფოთი). ქალაქი ფოთი და ლანჩხუთის, მახარაძის, ცხაკაიას, ჩხოტაურისა და ჩხოროწყუს რაიონები.

688. რუსთავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი რუსთავი). ქალაქი რუსთავი და ბოლნისის, დმანისის, მარნეულისა და წითელწყაროს რაიონები.

689. სამტრედიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სამტრედია). აბაშის, ვანის, გეგეჭკორის, სამტრედიის, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონები.

690. სოხუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქები სოხუმი და ტყვარჩელი და გაგრის, გუდაუთის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35-ე მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25-ე და 26-ე მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 24 მარტის ბრძანებულებით შეიქმნა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 750 საარჩევნო ოლქი, აქედან საქართველოს სს რესპუბლიკაში:

161. თბილისის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ლენინის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი.

162. თბილისის — კიროვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, კიროვის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის კალინინისა და კიროვის რაიონები.

163. თბილისის — 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქი (ცენტრი ქალაქი თბილისი, 26 კომისრის სახელობის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონი.

164. თბილისის — ოქტომბრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი —ქალაქი თბილისი, ოქტომბრის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონი და დუშეთისა და ყაზბეგის რაიონები.

165. თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ორჯონიკიძის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონი.

166. თბილისის — პირველი მაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, პირველი მაისის რაიასბჭო). ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონი.

167. ამბროლაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ამბროლაური). ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის რაიონები.

168. ახალქალაქის საარჩევნო ოლქი. (ცენტრი — ქალაქი ახალქალაქი). ასპინძის ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონები.

169. ახალციხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ახალციხე). ადიგენის, ახალციხის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონები.

170. ბათუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქი ბათუმი და ბათუმის რაიონი.

171. ბოლნისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბოლნისი). ბოლნისისა და მარნეულის რაიონები.

172. გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა გეგეჭკორი). აბაშის, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონები.

173. გორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი გორი). ქალაქი გორი და გორის და ქარელის რაიონები.

174. გურჯაანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გურჯაანი). გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონები.

(დასასრული მე-2 გვ.).

ნ. ვ. პოდგორნი ირანს გაემგზავრა

მისი უდიდებულესობის ირანის შაჰინშაჰის მოპატიჟებით, რეზა ფეხლევის მიწვევით 24 მარტს მოსკოვიდან ირანში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი.**

მას ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მ. კლიჩევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ა. ტიხონოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ვ. მ. ვინოგრადოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი.** თეირანში მათ შეუერთდება საბჭოთა კავშირის ელჩი ირანში **ვ. ი. ეროფეევი.** (საკდესი).

შეიქმნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

(დასასრული)

175. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზესტაფონი). ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონები.

176. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზუგდიდი). ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის, მესტიისა და წალენჯიხის რაიონები.

177. ქობულეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქობულეთი). ქედის, ქობულეთის, ხულოსა და შუახევის რაიონები.

178. ჟუთაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ჟუთაისი). ქალაქი ჟუთაისი.

179. მახარაძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი მახარაძე). ლანჩხუთის, მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონები.

180. მცხეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი მცხეთა). კასპის, მცხეთისა და თიანეთის რაიონები.

181. ორპირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ორპირი). ქალაქი ტყვარჩელი და გალისა და ორპირის რაიონები.

182. რუსთავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი რუსთავი). ქალაქი რუსთავი და გარდაბნის რაიონი.

183. სამტრედიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სამტრედია). ვანის, მაიაკოვსკისა და სამტრედიის რაიონები.

184. სიღნაღის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სიღნაღი). ლაგოდეხის, სიღნაღისა და წიოელწყაროს რაიონები.

185. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქი სოხუმი და გულრიფშის რაიონი.

186. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი), გაგრის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონები.

187. თელავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თელავი), ახმეტის, ყვარლისა და თელავის რაიონები.

188. თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თეთრი წყარო). დმანისის, თეთრი წყაროსა და წალკის რაიონები.

189. ცხინვალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი მიხა ცხაკაია). ქალაქი ფოთი და ზონისა და ცხინვალის რაიონები.

190. წყალტუბოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი წყალტუბო). ქალაქი ტყიბული და ქალაქის საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტები, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონები.

191. ცხინვალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

192. ჭიათურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ჭიათურა). ქალაქი ჭიათურა და ქალაქის საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტები, ორჯონიკიძის და საჩხერის რაიონები.

აფხაზეთის ასსრ

481. სოხუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქ სოხუმის დასავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ჩოჩუასა და ყაზბეგის ქუჩებიდან.

482. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი— ქალაქი სოხუმი). ქალაქ სოხუმის დასავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ჩოჩუასა და ყაზბეგის ქუჩებიდან.

483. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი სოხუმი). სოხუმისა და გულრიფშის რაიონები ბაღმარანისა და მაჯარის სასოფლო საბჭოები.

484. ბაბრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გაგრა). გაგრის რაიონი (ქალაქი გაგრა, დაბა განთიადი და მოქალრიფშის, მახადირის, ბაშუფსის, ცივწყალას, ბაღნარის, ხეივნის, ლესელიძისა და კოლხეთის სასოფლო საბჭოები).

485. გალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გალი). გალის რაიონი (ქალაქი გალი და რეფო-შუშელეთის, ქვემო ბარდების, ზემო ბარდების, ოტობაიის, ფიჩორის, ნაბაკევის, თაგილონის, სიდის, განახლების, ჭუბურხინჯის, საბერიოს, ლეკუბონის, რეჩხი-ცხირის, დიახაზურგის, ღუმურიშის, პირველი გალისა და მზიურის სასოფლო საბჭოები).

486. გუდაუთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გუდაუთა). გუდაუთის რაიონი (ქალაქი გუდაუთა და აბღარხუქის, აიკეი, ანუხვის, აჭანდარის, პრიმორსკოეს, ყულანურხვის, მწარის, ფსირცხის სასოფლო საბჭოები და დაბა ახალი ათონი).

487. გულრიფშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი მაჯარა). გულრიფშის რაიონი (აჟარის, აზანთის, ამტკელის, ბაბუშარის, განახლების, გულრიფშის, დრანდოს, ვლადიმიროკის, ლათის, მერხეულის, ოკტომბრისა და წებელდის სასოფლო საბჭოები).

488. კალდახვარის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი კალდახვარა). გაგრის რაიონი (დაბა ბიჭვინთა და ლიძავის, ბზიფის, ალახადის სასოფლო საბჭოები) და გუდაუთის რაიონი (აგარაკის, კალდახვარის, ჯირხვის, ბლაბურხვის, ოთხარის, მუგუძირხვის, ზვანდრიფშის, ლიხნის, ბარმიშის, ხუაფსის, ახალოფლისა და დურიფშის სასოფლო საბჭოები).

489. ორპირის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ორპირი). ორპირის რაიონი (ქალაქი ორპირი და ძძიუბეის, არაკიჩის, ათარის, სომბერი ათარის, ღვედის, ჯეგრდის, სოჩარის, კვიტოოულის, ახალკინდღის, ტამიშის, ლაბრისა და არადუს სასოფლო საბჭოები).

490. ორპირის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ორპირი) ორპირის რაიონი (მოქვის, ჭლოუს, ბეხლაუბის, ტყვარჩელის, ილორის, ოხურეის, ფოქვეშის, თხინის, ოტაფის, არასაძიის, გუფის, აგუბედიისა და რეკის სასოფლო საბჭოები) და გალის რაიონი (გუდაგის აჩიგვარის, ბედიის, ჩხოროთოლის, ოქუთის, მუხურისა და წარჩის სასოფლო საბჭოები).

491. ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ტყვარჩელი). ქალაქი ტყვარჩელი.

აჭარის ასსრ

492. ბათუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი).

ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში: ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები ზღვის ნაპირიდან პუშკინის ქუჩამდე, შაუმიანის ქუჩის კენტი ნომრები ჭავჭავაძის ქუჩიდან ცხაკაიას ქუჩამდე, ცხაკაიას ქუჩის ლუწი ნომრები შაუმიანის ქუჩიდან მარქსის ქუჩამდე, მარქსის ქუჩის კენტი ნომრები ცხაკაიას ქუჩიდან ოქტომბრის პროსპექტამდე, ოქტომბრის პროსპექტის ლუწი ნომრები მარქსის ქუჩიდან ენგელსის ქუჩამდე, ენგელსის ქუჩის კენტი ნომრები ოქტომბრის პროსპექტიდან ზღვის ნაპირამდე, ზღვის ნაპირი ენგელსის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე.

493. ბათუმის — შაუმიანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი).

ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში: ენგელსის ქუჩის ლუწი ნომრები ზღვის ნაპირიდან ოქტომბრის პროსპექტამდე, ოქტომბრის პროსპექტის კენტი ნომრები ენგელსის ქუჩიდან მარქსის ქუჩამდე, მარქსის ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის პროსპექტიდან ცხაკაიას ქუჩამდე, ცხაკაიას ქუჩის კენტი ნომრები მარქსის ქუჩიდან შაუმიანის ქუჩამდე, შაუმიანის ქუჩის ლუწი ნომრები ცხაკაიას ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე, ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები შაუმიანის ქუჩიდან აჭარის გზატკეცილამდე, აჭარის გზატკეცილის კენტი ნომრები ჭავჭავაძის ქუჩიდან შავი ზღვის გზატკეცილამდე, შავი ზღვის გზატკეცილის ქალაქის მხარე აჭარის გზატკეცილიდან სულაბერიძის ქუჩამდე.

494. ბათუმის — ფრუნზეს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი).

ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში: სულაბერიძის ქუჩის ლუწი ნომრები სუვოროვის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე, პუშკინის ქუჩის ლუწი ნომრები სულაბერიძის ქუჩიდან ჯორჯიაშვილის ქუჩამდე, ჯორჯიაშვილის ქუჩის ლუწი ნომრები პუშკინის ქუჩიდან თბილისის ქუჩამდე, თბილისის ქუჩის ლუწი ნომრები ჯორჯიაშვილის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე, ჭავჭავაძის ქუჩის კენტი ნომრები თბილისის ქუჩიდან აჭარის გზატკეცილამდე, აჭარის გზატკეცილის ლუწი ნომრები ჭავჭავაძის ქუჩიდან შავი ზღვის გზატკეცილამდე, შავი ზღვის გზატკეცილის ქალაქის მხარე აჭარის გზატკეცილიდან სუვოროვის ქუჩამდე, სუვოროვის ქუჩის ქალაქის მხარე შავი ზღვის გზატკეცილიდან სულაბერიძის ქუჩამდე.

495. ბათუმის — ზღვისპირეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი).

ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში: სულაბერიძის ქუჩის კენტი ნომრები სუვოროვის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე, პუშკინის ქუჩის კენტი ნომრები სულაბერიძის ქუჩიდან ჯორჯიაშვილის ქუჩამდე, ჯორჯიაშვილის ქუჩის კენტი ნომრები პუშკინის ქუჩიდან თბილისის ქუჩამდე, თბილისის ქუჩის კენტი ნომრები ჯორჯიაშვილის ქუჩიდან კოლმეურნეობის მოედნის გავლით ჭავჭავაძის ქუჩამდე, პირამდე. ზღვის ნაპირი შავი ზღვის გზატკეცილის გაგრძელებიდან ენგელსის ქუჩამდე.

496. ჟდანოვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში: ენგელსის ქუჩის ლუწი ნომრები ზღვის ნაპირიდან ოქტომბრის პროსპექტამდე, ოქტომბრის პროსპექტის კენტი ნომრები ენგელსის ქუჩიდან მარქსის ქუჩამდე, მარქსის ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის პროსპექტიდან ცხაკაიას ქუჩამდე, ცხაკაიას ქუჩის კენტი ნომრები მარქსის ქუჩიდან შაუმიანის ქუჩამდე, შაუმიანის ქუჩის ლუწი ნომრები ცხაკაიას ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე, ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები შაუმიანის ქუჩიდან აჭარის გზატკეცილამდე, აჭარის გზატკეცილის კენტი ნომრები ჭავჭავაძის ქუჩიდან შავი ზღვის გზატკეცილის გაგრძელებამდე, შავი ზღვის გზატკეცილის გაგრძელების ქალაქის მხარე აჭარის გზატკეცილიდან ზღვის ნაპირამდე. ზღვის ნაპირი შავი ზღვის გზატკეცილის გაგრძელებიდან ენგელსის ქუჩამდე.

497. ბათუმის — ზღვისპირეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი).

ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში: სულაბერიძის ქუჩის კენტი ნომრები სუვოროვის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე, პუშკინის ქუჩის ლუწი ნომრები სულაბერიძის ქუჩიდან ჯორჯიაშვილის ქუჩამდე, ჯორჯიაშვილის ქუჩის კენტი ნომრები პუშკინის ქუჩიდან თბილისის ქუჩამდე, თბილისის ქუჩის ლუწი ნომრები ჯორჯიაშვილის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე, ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები შაუმიანის ქუჩიდან აჭარის გზატკეცილამდე, აჭარის გზატკეცილის კენტი ნომრები ჭავჭავაძის ქუჩიდან შავი ზღვის გზატკეცილის გაგრძელებამდე, შავი ზღვის გზატკეცილის გაგრძელების ქალაქის მხარე აჭარის გზატკეცილიდან ზღვის ნაპირამდე. ზღვის ნაპირი ენგელსის ქუჩამდე.

498. ოზურგეთის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ოზურგეთი). ოზურგეთის რაიონი (ქალაქი ოზურგეთი და ალიბეგოვის, ურეხისა და ჩიასუბნის სასოფლო საბჭოები).

499. ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხელვაჩაური). ბათუმის რაიონი (ხელვაჩაურის სადაბო საბჭო და კახაბრის, გონიოს, სარფის, თხილნარის, აჭარისწყლის, კირნათისა და აჭარის ალმასთის სასოფლო საბჭოები).

500. ხულოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხულო). ხულოს რაიონი.

501. ჩაქვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჩაქვი). ქობულეთის რაიონი (ჩაქვის სადაბო საბჭო და ხალას, ბობოყვათის, კვირიკეს, ხუცუბნის, ციხისძირისა და ულიანოვსკის სასოფლო საბჭოები).

502. შუახევის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი შუახევი). შუახევის რაიონი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

736. ცხინვალის საქალაქო საარჩევნო ოლქი. (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი). ქალაქი ცხინვალი.

737. ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი). ცხინვალის რაიონი.

738. ჯავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჯავა). ჯავის რაიონი.

739. ზნაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ზნაური). ზნაურის რაიონი.

740. ლენინგორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ლენინგორი). ლენინგორის რაიონი.

თავისუფლება გერძენ დემოკრატიებს

თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებაზე

23 მარტს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში ბერძენ დემოკრატთა მხარდასაჭერად გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება.

კრება გახსნა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ. ფაშისტური სამხედრო ხუნტა, თქვა მან, ცდილობს სისხლში ჩახშოს მამაცი ბერძენი პატრიოტების წინააღმდეგობა. მთელი მსოფლიო მოწმეა ბერძენ დემოკრატთა მასობრივი დევნისა. საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა თავისუფლებისათვის მებრძოლ პატრიოტთა მხარეზე არიან.

ტრიბუნაზეა „სსრ კავშირ-საბერძნეთის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი. საბერძნეთის რეაქციული მხედრიონის ძალადობის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა, თქვა მან, მოედო მთელ მსოფლიოს. გულგრილად ვერ წაიკითხავთ ცნობებს თავისუფლების ჯალათების მხეცობაზე. ისინი, როგორც ჩანს, არ ფიქრობენ, რომ პასუხს აგებენ უდანაშაულო ხალხის ელეტრისა და ჭაბებისათვის. ჩვენს საუკუნეში ჰუმანიზმისა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაული დასჯელი ვერ დარჩება.

სიტყვა ეძლევა თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მემოდელეს, სოციალისტური შრომის გმირს ვ. ბოროდაკას.

— საბჭოთა ადამიანები, — თქვა მან, მოითხოვენ შეწყდეს პროგრესული ძალების დევნა, ბოლო მოეღოს ტერორსა და დანაშაულს.

გამოდის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კომპოზიტორი დ. თორაძე. ბერძენი ხალხის ათასობით დაპატიმრებულ შვილებს შორის, აღნიშნა მან, ბევრია მისი კულტურის წარმომადგენელი. მათ შორისაა ცნობილი კომპოზიტორი მიკის თეოდორაკისი. 1967 წლის აპრილში საბერძნეთში სამხედრო გადატრიალების შემდეგ იგი დაპატიმრეს და ახლა ოროფოსის საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფება მიუხედავად იმისა, რომ მას გაუმწვავდა ფილტვების ტუბერკულოზი. მისი და სხვა პატრიოტების სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება. ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ გულისწყრომას გამოთქვამს ბერძენ დემოკრატთა სასტიკ დევნასთან დაკავშირებით. უნდა შეწყდეს თავისუფლებისათვის მებრძოლთა დევნა.

სამხედრო დიქტატურის დამყარების შემდეგ საბერძნეთში დაიწყო მასობრივი დაპატიმრება, — განაცხადა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ. მთელ საბერძნეთში კვლავ ნადირობენ იმათზე, ვინც სასურველი არ არის ახლანდელი რეჟიმისათვის. უძველესი ელადა ტრაგიკულ დღეებს განიცდის, მაგრამ ჩვენ გვწამს: საბერძნეთში გაიმარჯვებს მშვიდობა.

ქართველი ახალგაზრდობის სახელით პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. მალაღურაძემ დაგმო საბერძნეთში რეაქციული მხედრიონის თვითნებობა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვეს საბერძნეთში კონსტიტუციურ და დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენა.

(საქდესი).

სრულად გამოვიყენოთ რეზერვები!

მთავარია ეფექტურობა, ნაკეთობათა ხარისხი

თბილისის ქარხნის ჟოლექტივმა აქტივის კრებაზე განიხილა და მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის წერილი „სამეცნიერო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცების შესახებ“.

თბილისის პლასტმასის ქარხანამ 23 წლის წინათ გამოუშვა პირველი პროდუქცია, და მას შემდეგ მისი კოლექტივი ყოველწლიურად ზრდის ნაწარმის გამოშვებას, ნერგავს ახალ ტექნიკას და ტექნოლოგიას, სწორედ ამიტომ საწარმომ ვადაზე ადრე ათვისა საპროექტო სიმძლავრე.

დასამალავი არ არის, რომ ჩვენი ქიმიური მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი მზარდ მოთხოვნილებას, სწორედ ამიტომ იქნება მრეწველობის ამ დარგს დიდი ყურადღება.

1960-65 წლების განმავლობაში ქარხნის სიმძლავრე 2-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ეს მაინც არ იყო საკმარისი. ამიტომ ხუთწლედის დასაწყისიდან ქარხანაში ყოველწლიურად ახალ-ახალი სიმძლავრეებიდგებოდა მწყობრში. მაგალითად, შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საჩამოსხმელო კონვეიერი, რომელი წლიური საწარმოო სიმძლავრე 2 ათას ტონა პლასტმასის ნაკეთობებს შეადგენს. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საწნეხი საამქროს ახალი მთავარი კორპუსის მშენებლობა. ერთი სიტყვით, საწარმოს მთლიანი რეკონსტრუქცია გრძელდება. იგი 1972 წელს უნდა დამთავრდეს. მაშინ უკვე ქარხანა წელიწადში 8 ათას ტონამდე გაზრდის პროდუქციის გამოშვებას, ეს დღეანდელზეორად შედარებით თითქმის სამჯერ მეტი იქნება.

ქარხნის კოლექტივის მიერ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ისიც, რომ საწარმო ახლა 400-ზე მეტი დასახელების პლასტმასის დეტალს უშვებს, და ეს ფართო ასორტიმენტის ნაწარმი კოოპერირების სახით 33 სამრეწველო საწარმოს გაზავნება. ეს ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებისა და სპეციალისტების, თვითეული მუშის შემოქმედებითსა და ნაყოფიერ მრომაზე მეტყველებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შარშან ქარხანაში ათვისებულმა ახალმა პროდუქციამ — სანიტარულ არმატურამ, რომელიც სხვადასხვა დანადგარებისა და აპარატურისათვის არის განკუთვნილი, უკვე საყოველთაო აღიარება ჰპოვა, მომხმარებელთა მოწონება დაიმსახურა. ამ ნაკარის დღეს ჩვენი ქვეყნის 60 ქალაქსა და სასოფლო-სამეურნეო 17 ქვეყანაში გზავნიან.

მიმდინარე ხუთწლედში პარტიამ და მთავრობამ სამრეწველო საწარმოებს უფრო უფექტური მუშაობისათვის ნაოელი გზა დაუსახეს, შეზუსტად და ჩვენს მრეწველობაში წარმატებით ინერგება დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა. ეს დიდი ეკონომიური მნიშვნელობის ღონისძიებაა, რომელმაც უკვე თვალსაჩინოდ დაამტკიცა თავისი უპირატესობა. ახლა მის სიკეთეს ამ მეთოდით მომუშავე თვითეული საწარმო კოლექტივი, თვითეული მშრომელი გრძნობს.

ახლებურად მუშაობის ორი წლის შედეგები პლასტმასის ქარხანაში ანული წლის ბოლოს შეჯამდა. წარმატებები თვალსაჩინოა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ამ ხნის მანძილზე პროდუქციის გამოშვებამ 21 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერებამ ყოველწლიურად 11 პროცენტით დიდდებოდა. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, იმატა საერთო რენტაბელობამ. თუ 1967 წელს ქარხნის რენტაბელობა 16,8 პროცენტს შეადგენდა, 1969 წლის ბოლოსათვის ამ მაჩვენებელმა 28,8 პროცენტს მიაღწია. იმატა ეკონომიური სტიმულირების ფონდებმა. 1968 წელს ამ ფონდებში ჩაირიცხა 249 ათასი მანეთი, 1969 წელს—291 ათასი მანეთი. აქედან მარტო მშრომელთა მატერიალური წახალისების ფონდს 191 ათასი მანეთი მიემატა, ხოლო საბინაო მშენებლობის ფონდისათვის 77 ათასი მანეთი გამოიყო. აღარაფერს ვამბობთ იმ თანხებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საწარმოს შემდგომი განვითარებისა და მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ეს მთელი სიმდიდრეა, და თუ ქარხნის კოლექტივი მას მიზნობრივად, ეკონომიურად გამოიყენებს, არ შეიძლება უფრო მეტ წარმატებას არ მიაღწიოს.

კრებაზე გამოსული ამხანაგები სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდნენ წარმატებებზე. მაგრამ ამავე დროს დიდი გულისტკივილით მსჯელობდნენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზეც. ყველას აზრი ერთი იყო: მართალია, დღეს უნდა ვილაპარაკოთ კარგზეც, მაგრამ უფრო მეტი პრინციპულობით უნდა ვამხილოთ ნაკლოვანებები, ფხიზელი გონებით შევიხედოთ საამქროებში, უბნებში, თვითეულ სამუშაო ადგილზე და შევამოწმოთ, რა გაკეთდა, და შეიძლებოდა თუ არა უფრო მეტი გაკეთებულიყო.

პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში, რომელსაც ახლა განიხილავენ საბჭოთა მშრომელები, აღნიშნულია, რომ „ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამომუშავებული პროდუქციის საიმდოობა და გამძლეობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს“. ეს განმარტება ზუსტად შეესაბამება პლასტმასის ქარხნის კოლექტივის დღევანდელობას.

დავიწყოთ ერთი ფაქტით. მარშან საწარმომ 2.019 ცალი სანიტარო არმატურა და 1.505 წინადოგა გაუგზავნა ხარკოვის ელექტროტექნიკურ ქარხანას. მოხდა სამარცხვინო ამბავი. ეს დიდაანი პროდუქციაა მოხმარებისათვის უკარგისი აღმოჩნდა და მთლიანად უკან დაუბრუნეს. საწარმომ ჯარიმა გადაიხადა, დაიკარგა პროდუქციის დამზადებაზე დახარჯული შრომა, სახსრები, მასალები, ამასთან შეილახა საქარხნო მარკის ღირსება, თბილისელი ოსტატების მიზეზით სხვაც მოცდა, დაირღვა შრომის რიტმი. ბირა საგალალო შედეგი მოჰყვა უხარისხო პროდუქციის გამოშვებას.

ეაბრამ ეს ერთეული შემთხვევა როდია. ამ ქარხნის პროდუქცია სხვა დროსაც ულოგუნებიათ. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მარტო შარშან წუნით გამოწვეულმა ზარალმა 27 ათას მანეთს გადაჭარბა. ეს არც ისე პატარა თანხაა, მთელი გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების 0,5 პროცენტს შეადგენს. შეიძლებოდა თუ არა თავიდან აგვეცილებინა ეს ცუდი მაჩვენებელი? ცხადია, შეიძლებოდა, თუ ყველა ისე იმუშავებდა, როგორც ამ საწარმოს მოწინავენი მწყეხაავები ვ. ხარაზიშვილი, გ. კირვალიძე, გ. ლანინაზი, დამუშავებელები ა. ფიჩხუა, ქ. ეეფხიძე, მ. არეუნაშვილი და სხვები შრომობენ. ეს ოსტატები მინდობილ საქმეს ბანსუნსგებლობით მოეკიდნენ, პროფესიებს კარგად დაეუფლნენ და მხოლოდ უმადლესი ხარისხის პროდუქციას უშვებენ, მათ აღარ სჭირდებათ სხვისი კონტროლი, „პირადი დამღის“ უფლება მოიბოვეს.

კრებაზე აღინიშნა, რომ იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც ტექნიკური კონტროლის გაუწევლად მუშაობენ, თორმეტს აღწევს. მაგრამ ჩვენი აზრით აქ საამაყო არაფერია. ეს, შეიძლება ითქვას, წვეთია ზღვაში, რადგან აქაური კოლექტივი ასობით მშრომელს ითვლის. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა დიდ ეფექტს მივიღებდით, ქარხნის ყველა წევრი იმ თორმეტი ენთუზიასტის მაგალითით რომ მუშაობდეს.

ცხადია, საწარმოს ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ეს ფაქტია, რადგან „პირადი დამღით“ მუშაობის გამოცდილება სხვა საწარმოებში ასალი ხილი როდია, იგი ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინათ შეიმუშავეს ქ. სარატოვის მოწინავე სამრეწველო საწარმოებში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს წამოწყება და ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებს უჩრია გადაეღოთ და ფართოდ დაენერგათ წარმოებაში. ეს ასეც მოხდა. მაგრამ პლასტმასის ქარხანაში ამ მხრივ დასაკვეხი არაფერი აქვთ.

ამა წარმოიდგინეთ, მუშების ორმოცდაათი პროცენტი მაინც რომ მუშაობდეს სარატოველთა გამოცდილების მიხედვით, რამდენი კონტროლიორი გათავისუფლდებოდა, რომლებსაც სხვა სამუშაოზე გადაყვანდნენ (საწარმო მუშახელის ნაკლებობას განიცდის), რამდენი თანხები დაიზოგებოდა, შემცირდებოდა წუნით გამოწვეული ზარალი, და რაც მთავარია, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებით განმტკიცდებოდა საქარხნო მარკის ღირსება.

ეი ერთ-ერთი დიდი რეზერვი, რომლის ამოქმედებაც მეტ მოგებას მისცემდა კოლექტივს. აღმოიფხვრებოდა იერიშობანა, დაიზოგებოდა მუშახელი, ნედლეული, ფულადი სახსრები.

უხარისხო პროდუქციის გამოშვებას ისიც იწვევს, რომ საწარმოში ჯერ კიდევ დაბალია მანქანა-დანადგარების გამოყენების კოეფიციენტი, ზუსტად არ იცავენ ტექნოლოგიურ რეჟიმს, სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს; თვითწარმოების პროცესში არ ავლინებენ წუნს და არ იღებენ ზომებს მისი აღმოფხვრისათვის, წუნისმკეთებლებისადმი შემრიგებლობას იჩენენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1969 წელს ქარხანაში ერთ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე ნაკლები პროდუქცია გამოუშვეს, ვიდრე 1968 წელს.

კიდევ ერთი გამოუყენებელი რეზერვის შესახებ: დროის მაქსიმალურად გამოყენება, საწარმოო და შრომითი დისციპლინის განმტკიცება დღეს განსაკუთრებით აქტუალური საკითხებია და მათზე ბევრად არის დამოკიდებული საწარმოს საერთო ეფექტურობა. ამ მხრივ საწარმოში ყველაფერი რიგზე რიდია. მაგალითად, შარშან 320 კაცმა უმიზეზოდ გააცდინა სამუშაო; არავის გამოუთვლია, რამდენი პროდუქცია დაიკარგა კოლექტივის უფლებიანლინო წევრების წყალობით, რა ცუდი გავლენა მოახდინა ამ სამარცხვინო მაგალითმა ახალგაზრდა მუშებზე; ალბათ ამის შედეგია ისიც, რომ შარშანვე 263 კაცმა თვითნებურად მიატოვა სამუშაო.

ლიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს, ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე, აღნიშნეს წარმატებები. შეიძლება გამოვხატოთ კრებაზე გამოსული ამხანაგების საერთო აზრი, თვითტყვეთ, რომ მუშაობის გაუმჯობესების, საწარმოს განვითარების მთავარი და სწორი მიმართულება დღესაც წარმოების სრულყოფილი ტექნიკური შეიარაღება, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვაა. მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ადამიანები, რომლებიც ამ ახალ მანქანებს უნდა დაეუფლონ, უნდა ვასწავლოთ მათ, აკუმალოლოთ კვალიფიკაცია, გავაფართოოთ სამუშაო ადგილების მომსახურეობის ზონა. თვითეული მუშა უნდა ფლობდეს რამდენიმე პროფესიას. მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მასალების, ნედლეულის ეკონომიას, მომჭირნეობით ვხარჯოთ თვითეული ბინეთი, ეფექტიანი მეტი ეფექტი მივცეთ კოლექტივს. ეს დღეს მნიშვნელოვანი ამოცანაა.

კრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება საწარმოში არსებული ზიდა რეზერვების ამოქმედების დაჩქარებისათვის, მასალებისა და ნედლეულის, სამუშაო დროის ეკონომიისათვის. დადგენილების პროექტში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება კიდევ უფრო დაჩქარებს საწარმოს ტექნიკურ პროგრესს, ხელს შეუწყობს ხუთწლედის გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

ზ. ჯამასპიშვილი,
რ. ჭელიძე.

ტრაქტორები მინდვრად გავიდნენ

გაზაფხული და მექანიზატორი

ალაყაფის კარი გაიღო და „სოფლტექნიკის“ თერჯოლის განყოფილების სახელოსნოს კარმიდამოდან „ს-100“ მარკის ტრაქტორი გამოვიდა. რემონტზე მომუშავე მეკარიძეს, შემკეთებლებს ე. ქარქაშაძეს, ვ. გავაშელაშვილს, შემდეგებელს ბ. რობაქიძეს, ნარატს ზ. დეგიძეს განყოფილების მმართველმა ვ. ჯაფარიძემ, ინჟინერ-კონტროლიორმა გ. ვერულაშვილმა და მთავარმა ინჟინერ-მექანიზატორმა გ. ლომიძემ მანქანის კარგი შეკეთებისათვის მადლობა გადიუხადეს და ტრაქტორი მექანიზატორს ვ. მაჩიტაძეს ჩაბარეს. მან ტრაქტორით სოფელ რუფოთის კოლმეურნეობისაკენ გასწია და სიმინდის დასათესად მზრალის გადახვნას შეუდგა. არ გასულა ორი საათი, და სახელოსნოში „ს-100“ მარკის კიდევ ორი ტრაქტორი ამოუშავეს. მეორე დღეს სოფელ ალისუბნის კოლმეურნეობის მინდვრებს ორი შეკეთებული ტრაქტორი ესტუმრა და მექანიზატორები ლ. გურჯიძე და ნ. გიორგაძე ხვნას შეუდგნენ.

ასე თანდათანობით გეგმიანად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მძლავრი ტექნიკის შეკეთება თ

მსოფლიო ღონე

ვიზიტის წინ

თეირანი, 23 მარტი. საკდესის კორესპონდენტები ლ. ვართანიანი და ა. ახმეძიანოვი გვატყობინებენ:

ირანის პრესა, რადიო და ტელევიზია დიდ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მოფიციალურ ვიზიტს ირანში.

„ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტი, წერს გაზეთი „სიანს ბეიდანი", — გაიმართება სსრ კავშირისა და ირანის ხალხებისათვის ღირსშესანიშნავ დღეებში, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ, იმ ადამიანის იუბილეს წინ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობას. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ვიზიტი ახალი დიდმნიშვნელოვანი წესალი იქნება ირანისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საქმეში".

ეურნალი „ირანე ტრიბუნი" გამოთქვამს იმედს, რომ ეს ვიზიტი „კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთობას და დიდმნიშვნელოვანი წესალი იქნება ჩრდილოელ მეზობელთან ირანის ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში". ეურნალი მაღალ შეფასებას აძლევს ორი ქვეყნის სავაჭრო თანამშრომლობას და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შედეგად ირანი იღებს საამრეწველო მოწყობილობას, რომელიც შეტად საჭიროა მისი ეკონომიური განვითარებისათვის.

წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიური თანამშრომლობა. საასაზღვრო მდინარე არაქსზე საბჭოთა კავშირი და ირანი ერთობლივად აშენებენ ჰიდროკვანძს. საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარებით ირანში მეტალურგიული ქარხანა შენდება ისპაჰანში, მანქანათაშენებელი ქარხანა — არაკში, შენდება სხვა ობიექტებიც. საბჭოთა სპეციალისტებს ირანელ მუშებთან და ინჟინრებთან ჭიდრო თანამშრომლობით გაპაკეთ ტრანსირანის მაგისტრალური გაზსადენი, რომლითაც ირანის ნავთობის რაიონებიდან ბუნებრივ გაზს მიიღებს საბჭოთა კავშირი. თეირანის გაზეთი „ქეიხან ინტერნეშნლი" წერს, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა „იმის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია, თუ როგორ შეუძლია ორ მეგობარ მეზობელ ქვეყანას ერთად გამოიყენოს ბუნებრივი სიმდიდრენი ურთიერთსასარგებლოდ".

ბულგარეთი

მეგობრობის ერთთვიური

სოფია, 24 მარტი. საკდესის კორესპონდენტი დ. ბოჩაროვი იუწყება: გუშინ აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური.

მოხსენება ორი მოძმე ხალხის მეგობრობის, ბულგარეთში ლენინის იდეების გამარჯვების შესახებ გააკეთა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ც. დრაგოიჩევამ. მხურვალედ მიესალმა დამსწრეთ საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი გ. ტ. ბერეგოვოი.

ბ ე ლ გ ი ა

კენჭისყრა დამთავრდა

ბერლინი, 23 მარტი. (საკდესი). გუშინ 18 საათზე ადგილობრივი დროით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამთავრდა საოლქო, რაიონული, საქალაქო და სათემო საბჭოების არჩევნები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ფ. ებერტმა, რომელიც გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიით, აღნიშნა, რომ კენჭისყრა მიმდინარეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში.

ქორქ მარშეს გამოსვლა

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის სოციალისტური არჩევნების შედეგები მოწმობს, რომ ხალხი პარტიის გაერთიანების განმტკიცებასა და ზრდასაც კი, განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ჟორქ მარშემ, რომელიც გამოვიდა 21 მარტს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. თავისი გამოსვლა პლენუმზე ჟ. მარშემ მიუძღვნა საკანონო არჩევნების შედეგების ანალიზისა და პარტიის უახლოესი პერიოდის ამოცანებს.

საკანონო არჩევნების შედეგებმა, თქვა ჟ. მარშემ, ცხადყო, რომ ხალხის მასებს კომპარტია მათი მოთხოვნების საუკეთესო დამცველად მიაჩნია.

მან აღნიშნა მემარცხენე ძალების კავშირის დიდი მნიშვნელობა არჩევნებში, რამაც საშუალება მოგვცა დაგვმარცხებინა ბევრი მემარჯვენე კანდიდატი. მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა პარტიის მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს, — ხაზი გაუსვა ჟ. მარშემ.

□

დღესასწაული პაკისტანში

ბრაგალპინდი, 24 მარტი. (საკდესი). საარტილერიო სალუტით, სახალხო დემონსტრაციებითა და ხალხმრავალი მიტინგებით აღნიშნა პაკისტანელმა ხალხმა თავისი ეროვნული დღესასწაული — პაკისტანის დღე. დედაქალაქში გაიმართა სამხედრო პარადი, რომელზეც პრეზიდენტმა იაჰია ხანმა წერილობთ მიმართა ხალხს. მან გამოთქვა რწმენა, რომ პაკისტანი დაძლევს მის წინაშე მდგომ სიძნელეებს და დაადგება ყოველმხრივი განვითარების გზას.

ჟ. როჯერსის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 24 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა გუშინ მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომლის დიდი ნაწილი მიეძღვნა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას. მან განაცხადა, რომ პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა „დროებით გადადო ისრაელის იმ თხოვნის საკითხის გადაჭრა, რომელიც შეეხება თვითმფრინავების დამატებით მიწოდებას".

სახელმწიფო მდივანმა ამით ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის მთავრობა თვალყურს ადევნებს ახლო აღმოსავლეთის სიტუაციას და „საჭიროების შემთხვევაში პრეზიდენტი უყოყმანოდ გადასინჯავს ამ საკითხს".

როჯერსმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისრაელს მისცემს კრედიტებს წინანდელი სამხედრო კონტაქტებით აღებული ვალების დასაფარად, აგრეთვე სხვა საქონლის შესასყიდად. ამ დახმარების თანხა შეადგენს 100 მილიონ დოლარს.

მემილიონე დამთვალიერებელი

ოსაკა, 24 მარტი. (საკდესი). ტეცუო ოკა. ქალაქ ფაკუის 37 წლის მცხოვრები დღეს იყო „ექსპო-70" მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონის მემილიონე დამთვალიერებელი. „ექსპო-70" გამოფენის საბჭოთა სექციის გენერალურმა კომისარმა ბ. ა. ბორისოვმა ოკახა და მის ოთხი წლის ბოგონას ნაოკას გადასცა სამახსოვრო სუვენირი — ვეებერთელა „მატრიოშკა".

გადასცა რა სამახსოვრო საჩუქარი, ბ. ა. ბორისოვმა თქვა, რომ მემილიონე დამთვალიერებელი საბჭოთა პავილიონში გამოფენის გახსნიდან უკვე 10 დღის შემდეგ — ეს იმას მოწმობს, რომ უდიდეს ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი, მისი ხალხის ცხოვრებისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატები

ჟმფიანი აფეთქება

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნევადის შტატის პოლიგონზე მოეწყო კიდევ ერთი მიწისქვეშა ატომური აფეთქება.

როგორც ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, ამ აფეთქების სიმძლავრე შეადგენდა 20-დან 200-მდე კილოტონს. ეს წელს ატომური იარაღის მეთერთმეტე გამოცდადებული გამოცდაა.

მხარს უჭერენ სახალხო მოთავრობას

ბრაზავილი, 24 მარტი. (საკდესი). აქ გაიმართა მასობრივი მიტინგი კონგოს მმართველი შრომის პარტიისა და მისი თავმჯდომარის მარიან ნგუაბის მხარდასაჭერად. მიტინგის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი მარიან ნგუაბი, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მან დაახასიათა ესეს არის ჩაფუშული გადატრიალება, როგორც მემარჯვენე და რეაქციული. ეს გადატრიალება, განაცხადა პრეზიდენტმა, მოამზადეს „ამერიკელთა ფულით". პრეზიდენტმა დადასტურა, რომ შეთქმულთა მეთაური ლეიტენანტი კინგანგა მოკლულია.

რადიო „კონგოს რევოლუციის ხმა" გადასცემს მრავალ წერილს, რომლებშიც მხარს უჭერენ კონგოს შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მის თავმჯდომარეს მარიან ნგუაბის.

ბრაზავილი, 24 მარტი. (საკდესი). კონგოს რევოლუციამ [illegible] ... კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა მარიან ნგუაბამ კონგოს ხალხისადმი მიმართვაში.

ნგუაბამ ხაზი გაუსვა, რომ კონგოს ეროვნული სახალხო არმია მზად არის კვლავაც დაიცვას რევოლუციის მოხალეთა ინი, ხალხის სუვერენიტეტი და თავისუფლება, და მოუწოდა ქვეყნის მთელ მოსახლეობას „გააორკეცოს სიფხიზლე და გზა გადაუღობოს რეაქციას".

შეერთებული შტატების როლში

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). დღეს ნიუ-იორკის საფოსტო განყოფილებაში ჩვეულებრივ მოსამსახურეთა ნაცვლად იქნებიან... ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ჯარისკაცები და ოფიცრები, შეერთებული შტატების მთავრობა, რომელმაც უარი თქვა დაკმაყოფილოს ფოსტის მუშაკთა მოთხოვნები, ახლა ცდილობს ჩაფუშოს გაფიცვა და ამ მიზნით ფოსტაში სამუშაოდ იყენებს პენტაგონის მთავარი რეზერვის — ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფებს.

პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად თექვსმეტი ათასზე მეტ ნიუ-იორკელ რეზერვისტს მოუვიდა გუშინ განკარგულება გამოცხადდნენ ყაზარმებში. როგორც პრესა იუწყება, მათ გამოიყენებენ შვიდი დღის განმავლობაში დაგროვებული ფოსტის დახარისხებისა და გადატანისათვის.

რეგულარული არმიის ორნახევარი ათასი ჯარისკაცი უკვე გაგზავნილია ნიუ-იორკში, რათა ქალაქის საფოსტო უწყებას გაუწიონ „პირველი დახმარება", სანამ ეროვნულ გვარდიელებს შესახებ ინსტრუქციას გაუწევდნენ.

იზრდება ანტისაომარი განწყობილება

ნიუ-იორკი, 23 მარტი. ამერიკის საზოგადოებრივი აზრის აღშფოთებამ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აგრესიის გამო ვიეტნამში საპროტესტო მოძრაობის მრავალნაირი ფორმა წარმოშვა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რიგებში. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა ის, რომ ჯარისკაცები სინდისის მოთხოვნით უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე ან, ყოველ შემთხვევაში, საომარ ოპერაციებში მონაწილეობაზე. თუ 1962 წელს არმიის ხელისუფლებს მხოლოდ ხუთი განცხადება მოუვიდათ სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ სინდისის მოთხოვნით, 1969 წელს ასეთ განცხადებათა რიცხვი 943-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, კიდევ 924 ჯარისკაცმა მოითხოვა გაეგთავისუფლათ საბრძოლო სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობისაგან.

განსაკუთრებით აწუხებს მმართველ წრეებს ანტისაომარი განწყობილების ზრდა ოფიცერთა შემადგენლობაში. თუ წინათ ოფიცრების მიერ სინდისის მოთხოვნით სამხედრო სამსახურიდან უარის თქმა უმაგალითო იყო არმიაში, შარშან ასეთი განცხადება შეიტანა 34 ოფიცერმა. განსაკუთრებით დიდი ხმაური გამოიწვია უსეტ-პოინტის სამხედრო სასწავლებლის ახალგაზრდა კურსდამთავრებულის ლეიტენანტ ლ. ფინტნის საქმემ, რომელმაც გასულ კვირაში საჯაროდ განაცხადა უარი სამხედრო სამსახურზე ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ფოტოინფორმაცია

ასეულ ათასობით კუბელები იბრძვიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ მათთვის დაკისრებული უმნიშვნელოვანესი ამოცანა — მიმდინარე წლის ივლისისათვის რესპუბლიკას მისცენ 10 მილიონი ტონა შაქარი.

შაქრის ლერწმის პლანტაციებში პროფესიონალ მაჩეტეროებთან ერთად შრომობენ ათეულ ათასობით მოხალისენი.

სურათზე: მაჩეტეროების ბრიგადა დროშით, რომელიც მათ თავდადებული შრომისათვის გადასცა პროფცენტრმა. ეს ბრიგადა შაქრის ლერწამს ჭრის ჰავანის პროვინციაში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ქრაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა

მთავროგის სხდომა

ბაირო, 23 მარტი. (საკდესი). რესპუბლიკურ სასახლეში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის თავმჯდომარეობით გაიმართა მინისტრთა კაბინეტის სხდომა. როგორც პრესა იუწყება, კაბინეტმა განიხილა სამხედრო ვითარება ცეცხლის შეწყვეტის ხაზებზე, პოლიტიკური მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგებების შესახებ ოთხმხრივი მოლაპარაკების თვალსაზრისით, რომელიც დიდი სახელმწიფოების მთავრობებს შორის მიმდინარეობს ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა.

კაბინეტმა გამოიტანა დასკვნა, რომ „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი და სამიდოა".

მინისტრებმა განიხილეს აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის 1970-1971 საფინანსო წლის ბიუჯეტის ძირითადი მუხლები. დაგეგმვის მინისტრმა საიიდ გაბალამ ხაზი გაუსვა, რომ ბიუჯეტის ძირითადი ასიგნებანი მოხმარდება უპირატესად სამოქალაქო თავდაცვის საჭიროებებს, აგრეთვე ეკონომიური განვითარების უმნიშვნელოვანესი ობიექტების განხორციელებას.

პრაბი პარტიზანები მოქმედებენ

ამანი, 24 მარტი. (საკდესი). პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ „ფათეხის" ორგანიზაციის პალესტინელ პარტიზანთა წარმატებითი ოპერაციების შედეგად ისრაელ ინტერვენტთა წინააღმდეგ მოლანის მაღლობებზე (სირიის ოკუპირებული ნაწილი) გასული კვირის დამლევს დახოცეს და დაჭრეს ბევრი ისრაელი ჯარისკაცი, მოსპეს რამდენიმე ავტომობილი. გუშინ პარტიზანებმა იერიში მიიტანეს ისრაელის პატრულზე მდინარე იორდანის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში და ცოცხალი ძალის ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

□

მთავარი საფრთხე

ჰანოი, 24 მარტი. (საკდესი). ეხება რა კამბოჯის უკანასკნელ ამბებს, სამხრეთ ვიეტნამის საგარეო „განთავისუფლება" ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს „აცდინოს კამბოჯა დამოუკიდებლობის და ნეიტრალიტეტის დაცვის სწორ გზას". „საღად მოაზროვნე ადამიანები ხედავენ, — აღნიშნავს საგარეო, — კამბოჯის მიმართ, ისევე როგორც ვიეტნამისა და ლაოსის მიმართ აგრესიის საფრთხე გამომდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი დამქაშებისაგან.

ამერიკის შეერთებული შტატების ხრიკებმა კამბოჯაში ერთხელ კიდევ ცხადყო „უაღრესად რეაქციული პოლიტიკა ნიქსონის ადმინისტრაციისა, რომელიც მიუხედავად არაერთი ძმამე დამარცხებისა, ჯერ კიდევ ეძებს ინდოჩინეთში აგრესიული ომის გაფართოებისა და გაგრძელების ყოველგვარ საშუალებას", — წერს დღეს გაზეთი „ნიან ზანნი". მაგრამ „მტრის ვერავითარი ცბიერი ხერხი, — აღნიშნავს გაზეთი სტატიაში „კომენტატორის" ხელმოწერით, — ვერ გათიშავს ვიეტნამისა და კამბოჯის ხალხებს — ძველ მეზობლებსა და მეგობრებს საერთო მტრის — ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში".

ამერიკა: „ახლოდ ქრისტიანებისათვის"

ანტისემიტიზმი — ახალი სოციალური მოვლენა

ნინ მიდევს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული სამი წიგნი:

„ამერიკა, როგორც ციონიზმი" — ფუნდამენტური ნაშრომი ამერიკელი ისტორიკოსის, პროფესორ მაქს ლერნერისა, რომელიც ბრანდეისის უნივერსიტეტში ასწავლის.

„მბრალთა ტანჯვა" — დიდი გამოკვლევა ანტისემიტიზმის ისტორიის შესახებ, რომელიც დაწერილია ამერიკელი კათოლიკე მოვდლის ედვარდ ფლანერის მიერ.

„ზონიერული ჩემი საუბრისა მეგობარი მბრალთა" — ამერიკელი მწერლისა და ჟურნალისტის რობერტ ჰესნერის პუბლიცისტური ნაშრომი.

ყველა ამ წიგნის ძირითადი აზრი ის არის, რომ რასობრივი დისკრიმინაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი მახვილით მიმართულია არა მარტო ზანგების, პუერტორიკოელების, მექსიკელების და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ. ბევრი ამერიკელი სოციოლოგი და ისტორიკოსი ეკამათება ერთმანეთს იმის შესახებ, თუ რასობრივი დისკრიმინაციის სკალაზე, ზანგების შემდეგ, რომელი ადგილი უჭირავთ ებრაელი წარმოშობის ამერიკელებს: მეორე, მესამე თუ მეოთხე — ინდიელებთან, პუერტორიკოელებთან და მექსიკელებთან ერთ რიგში.

მეცნიერებს ერთმანეთთან კამათი აქვთ სხვა საკითხზეც: როდის განხდა ანტისემიტიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომელ წლებში მიაღწია მან თავის აპოგეას (თუ უკვე მიაღწია).

მაგალითად, ფლანერი ფიქრობს, რომ ანტისემიტიზმი ამერიკაში გაჩნდა ჯერ კიდევ 1654 წელს, როცა ხოლოდ „კატერინასთი" ბრაზილიიდან ახალ ამსტერდამში (მომავალი ნიუ-იორკი) ჩავიდა პირველი 23 ებრაელი, რომლებიც ინკვიზიციას გამოექცნენ.

პროფესორი მაქს ლერნერი ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტისემიტიზმის წარმოშობას უკავშირებს გაფფურებულ კლასობრივ ბრძოლებს, რომლებიც გასული საუკუნის 70-80 წლებში ხდებოდა.

რობერტ ჰესნერს მიაჩნია, რომ „ორგანულმა ანტისემიტიზმმა", რომელიც მისი სიტყვით, „ამერიკის საზოგადოების სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია, ფესვის მოკიდება იწყო მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ათობით ფაშისტური ორგანიზაცია რომლებსაც ნაცისტები აფინანსებდნენ და რომლებსაც ხელს აფარებდნენ დაზვერვის ფედერალური ბიურო და მისი უფროსი ედგარ ჰუვერი სრულიად თავისუფლად ავრცელებდა ყველა შტატში ღვარძლიან ანტისემიტურ ფურცლებსა და ბროშურებს.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინ ამერიკის შეერთებულ. შტატებში მოქმედებდა 65-ზე მეტი ანტისემიტური ორგანიზაცია, რომლებიც იქ სავსებით აშკარად და ლეგალურად არსებობდნენ (ამჟამად მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა). ამ ორგანიზაციებს იგი მიაკუთვნებს ისეთ ფაშისტურ და ზოვინისტურ ორგანიზაციებს, როგორიც არიან „თავისუფლების ამერიკული ლიგა", „სოციალური სამართლიანობის კავშირი", „ამერიკის ლეგიონი", „ამერიკის რეგოლუციის ქალიშვილები", „კუ-კლუქს-კლანი" და სხვ. სამხრეთ შტატებში, მაგალითად არსებობს ანტისემიტური ორგანიზაცია „თეთრი ლეგიონი", ხოლო ჩრდილოეთ შტატებში — „ზაგი ლეგიონი". კალიფორნიაში — „ლოიალური ქრისტიანი-არიელები".

იგივე ჰესნერი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები ერთად ჩაბმულ იქნენ „სუსტიკის ეპიდემიაში", რომლის დროსაც 600-ზე მეტი ამერიკული სინაგოგა წაბილწულ იქნა. გააქტიურდნენ ანტისემიტური ორგანიზაციები".

ამერიკის შეერთებულ შტატებში 6 მილიონამდე ებრაელი ცხოვრობს. მათი უდიდესი უმრავლესობა რიგითი შუშები, მოსამსახურეები, ვაჭრები და მშრომელი ინტელიგენციაა, რომლებსაც სხვა ამერიკელებთან ერთად ულმობელ ექსპლოატაციას უწევენ საერთოდ და მათ შორის კაპიტალისტ ებრაელთა კუთვნილ საწარმოებზეც. კლასობრივი ბრძოლების დროს, მეტადრე გაფიცვებისას, შტრეიკბრეხერული ფირმების (ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი ფირმებიც არის), კერძოდ პერლ ბერპოფის ფირმის განსაკუთრებით ხელკეტები ისეთივე ძალით ატყდება თავს გაფიცულ ებრაელებს, როგორც სხვა ამერიკელებს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ფირმის ხელმძღვანელი ბერპოფიც ებრაელია, რომელიც მეწარმეთა სამსახურში დგას. ეს მხოლოდ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტისემიტიზმის კლასობრივ ხასიათს.

ებრაელი ბურჟუაზია — ფინანსური მაგნატები, მრეწველები, გამოჩენილი იურისტები და სხვები, ბუნებრივია, არ განიცდიან ანტისემიტიზმის შედეგებს. ფაშისტურ გერმანიაში მთელი რიგი ებრაელი ფინანსისტები და ბანკირები ვარბურგების ბანკირთა დინასტია (ამ ოჯახის ამერიკული შტოს ნათესავები), ფინანსისტი ოსკარ ვასერმანი და სხვები — ნაცისტებმა „სპპატიო არიელებად" ჩარიცხეს, და მათ დევნა არ განუცდიათ. ისინი ჰიტლერელებისაგან თავის გამოსყიდვას ახერხებდნენ დიდი „შეწირულებებით". როგორც ჰესნერი წერს, ამერიკის შეერთებულ შტატებიც ბევრი მდიდარი ებრაელის სურვილია, რომ ისინი „სპპატიო ქრისტიანებად" ჩათვალონ. ბევრი ამერიკელი კაპიტალისტი ებრაელი „კომუნიზმთან ბრძოლაში დახმარების" საბაბით ფაშისტურ ანტისემიტურ ორგანიზაციებს აფინანსებს. მათ ეკუთვნიან, მაგალითად, ისეთი მსხვილი სავაჭრო ფირმებისა და საბრგებში, განსაკუთრებით მძიმე, ელექტრონულ, საგაიაცი მრეწველობაში, ხელსაწყოთმშენებლობასა და თავდაცვითი მნიშვნელობის სხვა დარგებში ებრაელებს საერთოდ არ იღებენ სამუშაოზე, თუ ეს გამოჩენილი მეცნიერი არ არის, როგორც, მაგალითად, ფიზიკოსი ოპენჰაიმერი, და ისიც მისი „ლოიალობა" „გამოიძიეს", და იგი „განდევნეს ატომურ მრეწველობასთან დაკავშირებულ სამუშაოდან.

— არა მარტო ამერიკის ყველა „ბანქოს", ჰარვარდის, იელის, პრინსტონის ტიპის უნივერსიტეტებში, რომლებიც კერძო კაპიტალის ხარჯზე არსებობენ, არამედ სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც, რომლებიც ცალკეული შტატების ხელისუფალთ ეკუთვნიან, არსებობს სასწავლებლად ებრაელთა მიღების არაოფიციალური, მაგრამ საფსებით მტკიცე პროცენტული ნორმა. ეს პროცენტული ნორმა, ცხადია, არსად ოფიციალურად არ არის დაკანონებული, მაგრამ ყველა უნივერსიტეტი მას ერთსულოვნად იცავს.

— ამერიკის ყველა დიდ ქალაქში, და ბევრ პატარა ქალაქშიც კი არის მთელი „არისტოკრატიული" რაიონები (რა თქმა უნდა, ქალაქების საუკეთესო რაიონები), სადაც ებრაელებს ბინას არ აქირავებენ, სპორტულ კლუბებში არ იღებენ, ზოგიერთი დიდი კერძო კურორტის ტერიტორიაზეც არ უშვებენ, ხოლო ღია კურორტებზე არ უშვებენ საუკეთესო სასტუმროებსა და პანსიონატებში. ამერიკელების დამასასიათებელი „თავისუფალი" საქმიანობის შესაბამისად ანტისემიტიზმის ამ ნაირსახეობას არც კი ნიღბავენ. აღნიშნულ სახლებზე, კურორტების შესასვლელების წინ, სასტუმროების, ზოგიერთი რესტორნის შესასვლელთან გამოკიდულია დაფები ასეთი წარწერებით: „ბინებს ვაქირავებთ მხოლოდ ქრისტიანებზე", „ებრაელებს შესვლა აკრძალულია", „ებრაელებს ვთხოვთ ნუ მოგვმართავენ", „მხოლოდ ქრისტიანი კლიენტურა" და ა. შ.

ებრაელი ბურჟუაზია აქაც არ არის შეწუხებული: იგი იმენებს მდიდრულ სასახლეებს, ქმნის თავის კერძო კურორტებსა და სასტუმროებს. ამიტომ ამ დარგშიც კლასობრივი ანტისემიტიზმისაგან მხოლოდ მშრომელი ებრაელები იტანჯებიან.

შეიძლება თქვას, ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში ერთადერთი დარგი, სადაც ებრაელთა დისკრიმინაცია არ არის, სამხედრო სამსახურში გაწვევაა. ებრაელ ახალგაზრდებს დასახოცავად გზავნიან ვიეტნამში ყველა სხვა ამერიკელთან ერთად. ამ ზანგებიც კი ვერ დაიჩივლებენ, რომ ებრაელებზე უარეს მდგომარეობაში არიან, იმიტომ რომ ჯარისკაც ებრაელებს ზანგებთან ერთად გზავნიან ფრონტის ყველაზე საშიშ უბნებზე.

ჩვეულებრივად ამერიკელი ებრაელები ფრონტზე მიდიან მხოლოდ რიგითებად (მართალია, სახაზინო რაბინების თანხლებით, რომლებიც ამერიკის არმიაში მსახურობენ). ებრაელებს, როგორც წესი, არ იღებენ ოფიცერთა სასწავლებლებში უსტ-პოინტსა (არმია) და ანაპოლისში (სამხედრო-საზღვაო ფლოტი).

ამრიგად, თუმცა ამერიკელი მეცნიერები, მოვდლები და მწერლები, მათ შორის ამ სტატიის დასაწყისში მოხსენიებულნიც, ერთიან აზრს ვერ დასდგომიან იმ საკითხებში თუ როდის წარმოიშვა ანტისემიტიზმი და მიაღწია თუ არა მან ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის აპოგეას, ისინი ყველანი მაინც დარწმუნებული არიან, რომ ანტისემიტიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში სწრაფად განვითარდა ამ ქვეყნის მმართველი წრეების კეთილმოსურნე დამოკიდებულებით და რომ ამ მახინჯი სოციალური მოვლენისაგან იტანჯება ებრაული წარმოშობის მილიონობით ამერიკელი მშრომელი, მათ შორის მშრომელი პროგრესული ინტელიგენციაც.

ნორმან ბოროდინი,

ახალი ამბების საგაგენტოს პოლიტიკური მიმოხილველი.

ბრაზავილი

... ინგლისური ფირმა

ანკარა, 23 მარტი. (საკდესი). თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გადაწყვიტა გააუქმოს ლიცენზია, რომელიც ინგლისურ ფირმას „ბორაკს კონსოლიდეიტედს" მისცა ბორაკის ხეთი საბადოს ექსპლოატაციისათვის. როგორც გაზეთი „ჯუმჰურიეთი" იუწყება, ამ საბადოთა დამუშავების უფლება გადაეცა თურქეთის ფირმას „ეთიბანკს".

ინგლისის ფირმამ, რომელმაც დიდი შემოსავალი მიიღო ბორაკის საბადოთა დამუშავების შედეგად, აპელაციით მიმართა უმაღლეს სასამართლოს, მაგრამ მისი აპელაცია უარყვეს.

გაზეთი „ჯუმჰურიეთი" ხაზს უსვამს, რომ ბორაკის ამ საბადოებს შეუძლიათ თურქეთის ეკონომიკას მისცენ 100 მილიონი დოლარი შემოსავალი ყოველწლიურად.

ა. ნოველა გადადგა

რომი, 24 მარტი. (საკდესი). იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე, რომელიც აქ გაიმართა, მოიწონეს აგოსტინო ნოველას გადადგომა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის პოსტიდან ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ა. ნოველა საბუშაოდ გადადის იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

ა. ნოველას იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის პოსტი ეკავა 1957 წლიდან.

... ინგლისურ ... ფირმა

ანკარა, 23 მარტი. (საკდესი). თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გადაწყვიტა გააუქმოს ლიცენზია, რომელიც ინგლისურ ფირმას „ბორაკს კონსოლიდეიტედს" მისცა ბორაკის ხეთი საბადოს ექსპლოატაციისათვის. როგორც გაზეთი „ჯუმჰურიეთი" იუწყება, ამ საბადოთა დამუშავების უფლება გადაეცა თურქეთის ფირმას „ეთიბანკს".

ინგლისის ფირმამ, რომელმაც დიდი შემოსავალი მიიღო ბორაკის საბადოთა დამუშავების შედეგად, აპელაციით მიმართა უმაღლეს სასამართლოს, მაგრამ მისი აპელაცია უარყვეს.

გაზეთი „ჯუმჰურიეთი" ხაზს უსვამს, რომ ბორაკის ამ საბადოებს შეუძლიათ თურქეთის ეკონომიკას მისცენ 100 მილიონი დოლარი შემოსავალი ყოველწლიურად.

... ...

... ...

● ... ...

700 მედალი მფლობელს ელოდება

ჩვენს ქვეყანაში სტარტი აიღო დოსაფის V საკავშირო სპარტაკიადამ, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. დაიწყო პირველი ეტაპი — შეჯიბრებები სასწავლებლებში, საწარმოებში. დაწესებულებებში, კოლეგიურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში. იმაზე, თუ როგორია სპარტაკიადის ამოცანები, როგორ ემზადებიან საქართველოს სპორტსმენები რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადისათვის, ავრეთვე სხვა საინტერესო საკითხებზე ჩვენს კორესპონდენტს მოუთხრო რესპუბლიკური სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. სირაძემ.**

რას გვეტყვით სპარტაკიადის ამოცანებზე?

— საკავშირო სპარტაკიადის მთავარი მიზანია სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში ჯაბუკების და ქალიშვილების შემდგომი მიზიდვა, მათი ოსტატობის ამაღლება, ახალი რეკორდების დამყარება და საერთოდ მოსახლეობაში მასობრივი თავდაცვითი საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერება, ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურისათვის მომზადება.

როგორ ემზადება ჩვენი რესპუბლიკა საკავშირო სპარტაკიადისათვის?

— ინტენსიურად, და ეს მზადება წინა სპარტაკიადის დამთავრებისთანავე დაიწყო, განსაკუთრებით ფართო ფორმა კი შარშან მიიღო. რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის შექმნისთანავე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აქტიური დახმარებით მზადებაში გავითვალისწინეთ საკავშირო სპარტაკიადის დებულების მოთხოვნები, რომლებიც, მთავარ ამოცანად აყენებს, რომ ნაკრები გუნდების წევრთა 50 პროცენტი მაინც 25 წლამდე ახალგაზრდობა უნდა იყოს, გუნდების მთლიანი შემადგენლობა კი ოსტატობის კანდიდატი ვაჟებითა და პირველთანრიგოსანი ქალებით დაკომპლექტდეს. სწორედ ამგვარი ძალებით დაკომპლექტებული გუნდებით გამოვიდნენ შარშან საკავშირო ტურნირებში საქართველოს წარმომადგენლები, რაც მათთვის ძალთა ერთგვარი შემოწმება იყო, და, უნდა ითქვას, შესანიშნავი მაჩვენებლებიც მოიპოვეს. თუ მაგალითისათვის მარტო მოტოციკლისტთა ტურნირებს ავიღებთ, შარშან საქართველოს საბჭოთა კავშირში რსფსრ-სა და უკრაინის შემდეგ III ადგილი ჰქონდა, ხოლო სხვა სახეობების ჯამში საერთო IV ადგილზე ვიყავით.

შარშან პირად ტურნირებში ვინ ისახელა თავი, წლევანდელ სპარტაკიადაში ვისი წარმატების იმედი უნდა გვქონდეს?

— პირველ რიგში თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. კლიმენტიევი უნდა აღვნიშნოთ. სსრ კავშირის სპორტსმენებიდან იგი პირველი იყო, ვინც სპიდველში ევროპის ჩემპიონობა მოიხვეჭა. ამას გარდა, კლიმენტიევი შარშან მსოფლიოს პირველობის ფინალშიც გამოდიოდა, მაგრამ აქ დაზიანდა და საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა. საქებარია თბილისელი ჯ. ცაღლალაშანიძე, რომელმაც საიმიდერომო მოტორბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, სგზატკეცილო რბოლაში კი ვერცხლის მედალი. ავიასამოდელო სპორტში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა სარჩერელმა ნ. გელბაია, ავტომობილისტებს, რადიოგრამების მიღებადგადაცემაში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა თბილისელმა მ. სადუკოვმა, ხოლო ავტომობილით საგზატკეცილო რალეურ რბოლაში— თბილისელმა მ. ლოგინოვმა. რაც შეეხება მეორე და მესამე პრიზიორებს, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ წლევანდელ სპარტაკიადაში ზემოჩამოთვლილთა გარდა, ვფიქრობთ, კარგად იასპარეზებენ ტყვეიის მსრბოლელები მ. ყამურაშვილი, ვ. აბაჯიანი, ავტომობილისტები შ. მამრიკაშვილი, კ. ტბაძე, სამოდელო სპორტის ოსტატები კ. პაპკორია, ა. დეინეკო, რადისტი ნ. შემლიოვი, რომელმაც შარშან გოგონების საკავშირო ტურნირი მოიგო და სხვანი.

რას გვეტყვით რესპუბლიკური სპარტაკიადის რეგლამენტზე?

— როგორც უკვე ვიცით, პირველი ეტაპის შეჯიბრებები დაიწყო. შემდეგ გაიმართება რაიონული, საქალაქო და ზონალური სპარტაკიადები, ავრეთვე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სპარტაკიადები, ავლისში კი თბილისში — რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალი.

როგორია საკავშირო სპარტაკიადის პროგრამა და ჩათვლის სისტემა?

— საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაშია ავიო, ავტო, მოტო, საზღვაო, რადიო, სასროლო სპორტის, სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდისა და სხვათა 29 სახეობა. მათგან საქართველო მხოლოდ სათვითმფრინავო და ალპინერო სპორტში არ მიიღებს მონაწილეობას, სამოლოდ ყველა რესპუბლიკის, ავრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების საერთო ჩათვლაში შევა სახეობების მიხედვით 15 საუკეთესო შედეგი და გამარჯვებულად მას ალიარებენ.

გუნდების შემადგენლობაზე რას იტყვით?

— თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრები გუნდი 204 სპორტსმენით უნდა დაკომპლექტდეს. მათგან 44 ინუნიორი იქნება, რომლებიც ცალკე იბრძოლებენ მოტოციკლისტების, ავტომობილისტების, რადისტების, მსროლელების, წყალქვეშა სპორტის, სკუტერების, ზღვის მრავალჭიდელთა ტურნირებში.

რა სიახლეა სპარტაკიადის პროგრამაში?

— პროგრამაში პირველად არის შეტანილი რადიომოყვარეული კონსტრუქტორების, მოტობურთელთა და სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდის წარმომადგენელთა შეჯიბრებები. სულ სპორტაკიადაში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 700 მედალი გათამაშდება. საპრიზო ადგილებზე გასული ნაკრები გუნდები დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, დოსაფის ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „სოვეტსკი სპატრიოტის“ გარდამავალი პრიზებით, სამახსოვრო თასებით, ვიმპელებით.

კიდევ ერთი კითხვა: **საკავშირო სპარტაკიადის ფინალი ხად და როდის გაიმართება?**

დასკვნითი ასპარეზობები შედგება მოსკოვში, ლენინგრადში, ულიანოვსკში, კურსკში, რიაზანში, ფრუნზეში, ალმა-ათაში, რიგაში, ტალინში, სარატოვსა და სხვაგან აკვისტოში. სპარტაკიადის თბილისეც უმასპინძლებს.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში საკავშირო სპარტაკიადის ფინალები გაიმართება რადიო სპორტსა და საზღვაო მოდელისმში, ავრეთვე, სპიდველისტთა შეჯიბრების მეოთხედფინალი.

კომუნისტი
ეროვნული ლეგიონი

მესვენმბრალი ოლიმპიადა

„ოუკანმსკოფის“ ყინულზე ერთი დღით ჰოკეისტთა დიდი დავა მიწყსარდა, 23 მარტს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებდნენ. და ეი გუშინ პაექრობა განახლდა. ცხადია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის გუნდებს არაფერი აქვთ დასაკარგავი, მათ ჯერ არც ერთი მატჩი არ მოუგიათ და შეურიგდნენ აუტსაიდერობას, მაგრამ ძალზე ფრთხილობენ და ზოგჯერ ზედმეტადაც კი ნერვიულობენ დანარჩენი გუნდები, ისინი ვინც საპრიზო ადგილებისათვის იბრძვიან.

პირველად ყინულის მოედანზე გამოვიდნენ ფინეთისა და პოლონეთის გუნდები. მართალია, ფინელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4:0, მაგრამ ისინი თამაშით ამჯერადაც ერ ბრწყინავდნენ. დღეისათვის ფინელ ჰოკეისტებს 7 თამაშიდან 8 ქულა აქვთ შპიბების შეფარდებით 20—29.

რა თქმა უნდა, ყურადღებას იპყრობდა მსოფლიოს ჩემპიონების — სსრ კავშირის ჰოკეისტების გამოსვლა. ამჯერად მათი მეტოქე იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მატჩი მოიგეს საბჭოთა ჰოკეისტებმა. 7:1. დღეისათვის საბჭოთა ნაკრებს 7 თამაშიდან 12 ქულა აქვს შაიბების შესანიშნავი სხვაობით 49—9.

გუშინდელ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა შეეციისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა შეხვედრა. ეს შეჯიბრება ბევრად ლამით გაიმართა და დამთავრდა ფრედ — 2:2.

ბაკრაკის მერიდიანებზე

ბელგრადში გრძელდება 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. როგორც ვიუწყებოდით, 11 ტურის შემდეგ ა. კუშნირს 7,5 ქულა და სამი გადადებული პარტია ჰქონდა, მსოფლიოს ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს — 7 ქულა და 3 გადადებული პარტია.

მაგრამ აი გადადებული პარტიების დამთავრებისას გაფრინდაშვილმა 54-ე სვლაზე სნლია უნგრელ ივანკას, შემდეგ კი დაამარცხა კონარკოვსკა-სოკოლოვა, მეთორმეტე ტურის პარტია გადადო და 9 ქულით და 2 გადადებული პარტიით ლიდერია.

* * *

პრაღა. უნგრელმა და იუგოსლაველმა • გროსმაისტერებმა ლაიოშ პორტიშმა და ბორისლავ ივკოვმა გაიმარჯვეს „ოთხთა ტურნირში“ და მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს პირველობის საზონთაშორისო ტურნირში. ლ. პოჭტიშმა მოაგროვი 4 ქულა (ტურნირი ორ წრედ მიმდინარეობდა), ბ. ივკოვმა — 3,5 ქულა.

ფრანგუროის ბადესთან

მოსკოვში სტარტი აიღო საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელმა წრემ ფრანგურთში ქალთა გუნდებისათვის. ლიდერმა მოსკოვის „დინამომ“ კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ 3:1. დინამოელებს კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში ვხედავთ. ისინი უახლოეს მეტოქეს (ცსკა-ს 4 ქულით უსწრებენ და ჩემპიონობის რეალურ მაძიებლებად ითვლებიან.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ნეფტიანიკი“ (ბაკო) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:1, „ბურევესტნიკი“ (ოდესა) — „ბურევესტნიკი“ (კიევი) 3:0, ცსკა— „სპარტაკი“ (მინსკი) 3:0.

მოკლედ

◆ **პერამოფრალსაში** მიმდინარე მოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდა გ. კულაკოვა. მან ქალთათვის 10 კილომეტრზე რბოლაში ოქროს მედალი მოიპოვა, უახლოეს მეტოქეს ა. კოლჩინას 61 წამით გაუსწრო. მესამე ადგილზე გამოვიდა ნ. თეოდოროვა.

◆ **კიროვო-ჩეპეცკში** ბიატლონისტთა საკავშირო პირველობაზე კიდევ ერთი წარმატება იზეიმეს დინამოელებმა. მათი გუნდი ჩემპიონი გახდა იუნიორთა ასპარეზობაში 3X7,5 კილომეტრზე.

ეროვნიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **გ. დ. ვარდოსანიძე** დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **ბ. ბ. შატბეროვი** გაათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ბაბიოთუმო ბაფრობა თბილისში

2.300 სამაპრო გარიგება დაიდო სახალხო მოხმარების საქონლის ნამატის გაყიდვის ტრადიციულ საგაზაფხულო სარეპუბლიკათშორისო საბიუმო ბაზრობაზე, რომელიც 23 მარტს დაიხურა თბილისში. ბაზრობა მოაწყეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროებმა. საკავრო ორგანიზაციებისა და საკავრო-საშუამდგომლო კონტორების 1.000-ზე მეტმა წარმომადგენელმა რეალიზაციისათვის წარმოადგინა კულტურული - საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონელი.

ბაზრობის ბრუნვამ, — თქვა ბაზრობის დირექტორმა ო. ჯაბამაძემ, — რომელმაც მონაწილეობდნენ 15 მოკავშირე რესპუბლიკის საკავრო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები, შეადგინა დაახლოებით 50 მილიონი მანეთი.

რუსეთის ფედერაციის საკავრო ორგანიზაციებმა თბილისში შეისყიდეს 8 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა საქონელი, საქართველოდან — 2 მილიონისა. 4.400 ათასი მანეთის სხვადასხვა საქონელი შეისყიდეს უკრაინის, 2 მილიონისა — ლატვიის საკავრო ორგანიზაციებმა.

13 მილიონი მანეთის შალის ქსოვილებს, და სხვა საქონელს მოაწყობიან საქართველოს მოიმე მოკავშირე რესპუბლიკები.

(საქდესი).

ვ. ი. ლენინის
დაბადების 100 წლისთავისადმი

ფარდა დაეშვა

საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაული თბილისში

საქართველოში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაული, რომელიც ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. აფიშის ემბლემაზე თითქმის მთელი ორი კვირის მანძილზე ვკითხულობდით წარწერას — „ხელოვნება — ხალხს“, რომელიც ერთხელ კიდევ გვახსენებდა ოქტომბრის მონაპოვარს, რომ ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, ამის დამამტკიცებელი იყო ის დიდი ლტოლვა და ინტერესი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის ხელოვნების წარმომადგენელთა კონცერტებისადმი, რომელიც საქართველოს მშრომელებმა გამოიჩინეს ბანვლილი დღეების მანძილზე.

ეს დღეები საქართველოში ხალხთა ხელოვნების ჭეშმარიტ ზეიმად გადაიქცა. მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოში ცნობილი შემსრულებლები სახელმოხვეჭილი ანსამბლები და თვითმოქმედი კოლექტივები.

საქართველოს მშრომელებმა ნახეს და მოისმინეს გამორჩეული კოლექტივები. დაუთვწყარი იყო საბჭოთა კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტები თბილისის სპორტის სასახლეში, თბილისელები ტაშს უკრავდნენ საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდ სიმფონიურ ორკესტრს, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი დირიჟორი გ. როჟდესტვენსკი, ლატვიის ფილარმონიის კამერულ ორკესტრს, ბელორუსიის ხალხური საკრავების ორკესტრს, მოლდავეთის ხალხური სიმღერის ანსამბლს, ხელოვნების ოსტატებს ლიტვიდან, ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან, ესტონეთიდან, სომხეთიდან.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ კონცერტების ბევრ მონაწილესთან შეხვედრა ხელოვნების მოყვარულთათვის მუდამ დიდი მოვლენაა. ასეთ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნიან გენიალურ როჟდესტვენსკი, ლეონიდ კოგანი, ემილ გილელსი, ბიბიგულ ტულეგინოვა, ზინრობი ბაბი, დანიელ შაფრანი და სხვები.

ორი კვირის მანძილზე საქართველოს საკონცერტო დარბაზებში და ესტრადებზე ისმოდა სულ სხვადასხვა ჟანრის მუსიკა. წარსულის და თანამედროვე დიდ კომპოზიტორთა უკვდავი ქმნილებებ, შემსრულებელთა თვალსაჩინო ოსტატობა, ტალანტების დაუშრეტელი წყარო წარმოსდგა ამჯერად ხელოვნების მოყვარულთა წინაშე, როგორც დასტური ხალხთა ურღვევი მეგობრობისა.

ხალხთა ხელოვნების დღესასწაულის პროგრამაში მარტო კონცერტები კი არ შედიოდა. მოიმე რესპუბლიკების ხელოვნების წარმომადგენლები შეხვდნენ წარმოების მოწინავეებს და კოლმეურნეებს. ესეც არის ხელოვნების დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი დამსახურება, რადგან ამგვარი შეხვედრების წყალობით ხდება სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ურთიერთდაახლოება.

ადამიანის სულიერი სამყაროს განვითარებაში ხელოვნების როლი დიდი და ფასდაუდებელია. ამიტომაც საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაული სცილდება უბრალო კონცერტების ფარგლებს.

ზეიმის ამოთეოზს წარმოადგენდა საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრის დასკვნითი კონცერტები თბილისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობა აღტაცებით უკრავდა ტაშს მეგობართა ხელოვნებას.

დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების ზეიმი. ფარდა დაეშვა. უკანასკნელი აკორდები მიწყდა, მაგრამ დარჩა ხალხთა ურთიერთობის კიდევ ერთი ფურცელი, რომელზეც მონაწილეთა მრავალეროვანი მეგობრობა სწერია:

ზ. რცხილაძე.

* * *

სურათზე: უკრავს საერთაშორისო კონკურსი ბ ი ბ ლაურეატი **ბ. სოკოლოვი.**

ფოტო **ვლ. გინზბურგისა.**

ქართული ჩაის ქვირეული

„მოგრძანდით, გვეწვიეთ ქართულ ჩაიზე“ — მთახა თუ ბარში ყველა დასახლებული პუნქტის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ასეთი ლამაზი წარწერა გეპატიჟებათ. დიახ, ახლა ჩვენთან ქართული ჩაის ზეიმია. 28 მარტს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს „ქართული ჩაის კვირეული“. განსაკუთრებით საზეიმო ვითარებაა მეჩაიეობის რაიონებში. აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ თავის ტერიტორიაზე, გზის პირას, გახსნა კეთილმოწყობილი საჩაიე. აბა, მიბრძანდით და ნახეთ, როგორი სურნელოვანი ჩაი იგემოთ, როგორ გაგიმასპინძლდებიან.

აი თბილისის ჩაის სახლი. იშვიათია უცხოელი თუ საბჭოთა სტუმარი, მას რომ არ ეწვიოს. აქ, განთქმულ ქართულ სტუმართმოყვარეობასა და მასპინძლობასთან ერთად, ეცნობიან ჩაის დამზადების ტექნოლოგიას, შის კვებოთს და სამკურნალო ღირსებებს.

— ქართული ჩაის ზეიმისათვის მზადება დიდი ხნის წინათ დავიწყეთ, — გვეუბნება ჩაის სახლის დირექტორი თამარ გვანცელაძე, — მოვაწყეთ კონსულტაცია და სემინარები საზოგადოებრივი კვების მუშაკებისა და დიასახლისებისათვის. გამოვუშვით მხატვრული ბუკლეტები და პროსპექტები. მოვაწყეთ საუბარი „ჩაის სიკეთე“. „კვირეულის“ დღეებში კვლავ მოეწყობა საუბრები თემაზე „ჩაი და მედიცინა“, „ჩაი და კარდიოლოგია“. განზრახული გვაქვს სამოკალაქო და სამამულო ომის ვეტერანებთან შეხვედრა ჭიქა ჩაიზე და სხვ. კვირეული 29 მარტს ზეიმით დასრულდება. ჩვენი სურვილია ქართული ჩაის მარტო კვირეული და ზეიმი არ გვაკმაყოფილებდეს, ვაქციოთ ტრადიციად, რომ ქართულ სუფრას ყოველთვის და ყველგან სახელგანთქმული ჩაიც ამშვენებდეს.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის მიერ გამოშვებული ქართული ჩაის ნიმუშები. მარჯვნივ — ფაბრიკის თანამშრომელი მადლენა გაგლოევა.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**



— ეს რაა, ტელევიზორის მოწყესრიგების ახალი სქემაა?
— არა გეთაყვა, უბრალოდ ჩაის - დღეებისადმი მიძღვნილი გადაცემებია.

ორ ცეცხლს შუა.

ნახ. **ბ. კუციასი.**

საბჭოთა ბავშვობა

ეკითხვა: **მშობლების აგან არასრულწლოვან შვილებს რამდენ წლამდე შეუძლიათ მიიღონ ალიმენტი და რა ოდენობით?**

ე. ქოკოშვილი,
ახმეტის რაიონი.

პასუხი: მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები — 18 წლამდე ჩათვლით.

მშობლებს ალიმენტი გადახდეთ ერთი შვილისათვის ხელფასის ერთი მეოთხედი, ორი შვილისათვის — ერთი მესამედი, სამი და მეტი შვილისათვის — ნახევარი.

ამ წლის ოდენობა შეიძლება შეამციროს სასამართლომ, თუ მშობელს, რომელიც მოვალეა იხადოს ალიმენტი, ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც აღნიშნული ოდენობით ალიმენტის გადახდისას შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილნი, ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს იღებენ. ავრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობელი, რომელსაც ალიმენტს ახდევინებენ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდია ან თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ.

ეკითხვა: **სამამულო ომის ინვალიდები საქალაქო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობენ თუ არა უფასოდ?**

ბ. ჯანელიძე,
ტყიბულის რაიონი.

პასუხი: სამამულო ომის პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ავრეთვე სამამულო ომის მესამე ჯგუფის ინვალიდებს, რომლებსაც კიდურები არა აქვთ, შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, პენსიონერის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

გარდა ამისა, აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებს უფლება აქვთ 1 ნოემბრიდან 1 მაისამდე ისარგებლონ საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსებით მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის გადახდით.

ეკითხვა: **კოლმეურნეობაში მუშაობის გამო გავხდი მეორე ჯგუფის ინვალიდი, მე და ჩემი მოხუცი მეუღლე მკურნალობის მიზნით დროებით ვიმყოფებით ქუთაისში შვილებთან. ასეთ პირობებში შეიძლება თუ არა ჩვენთვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა ან შემცირება?**

ნ. ენდელაძე,
მაიაკოვსკის რაიონი.

პასუხი: საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება ენარჩუნება საკოლმეურნეო კომლს, რომლის ყველა წევრმა დაკარგა შრომისუნარიანობა მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო. ასეთ პირებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი რჩებათ იმავე ოდენობით. კომლის შრომისუნარიანი წევრების დროებით სამკურნალოდ წასვლა არ გამოიწვევს საკარმიდამო მიწის ნაკვეთის შემცირებას.

ეკითხვა: **შემეძინა და აღვზარდე ექვსი შვილი, რომლებიც ცოცხლები არიან. მეკუთვნის თუ არა მრავალშვილიანი დედებისათვის დაწესებული პენსია?**

მ. აფციაური,
წითელწყაროს რაიონი.

პასუხი: ქალებს, რომლებმაც შობეს ხუთი ან მეტი შვილი და აღზარდეს ისინი რვა წლის ასაკამდე, მოხუცებულობით პენსიის მიღების უფლება აქვთ 50 წლის მიღწევის შემდეგ, თუ მათ აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ თხუთმეტი წლისა.

ქალებს, რომლებმაც შობეს ხუთი ან მეტი შვილი და აღზარდეს ისინი რვა წლის ასაკამდე, მაგრამ არა აქვთ თხუთმეტი წლის მუშაობის სტაჟი, მოხუცებულობის პენსიები დაენიშნებათ 55 წლის შესრულების შემდეგ იმ პირობით, თუ მათ იმუშავეს სულ ცოტა ხუთი წელი, მათ შორის სამი წელი უშუალოდ პენსიის დანიშვნამდე მიმართვამდე.

ეკითხვა: **ვმუშაობ ზესტაფონის ყველ-კარაქის ქარხანაში. მუშად. ხელფასთან ერთად მეკუთვნის თუ არა მოხუცებულობის პენსია სრული ოდენობით?**

ა. გაჩეჩილაძე,
ზესტაფონის რაიონი.

პასუხი: მუშები მოხუცებულობის პენსიას იღებენ სრული ოდენობით მუშაობის ადგილის მიუხედავად.

პასუხი: კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ორგანიზაციების გადაწყვეტილებით საკარმიდამო მიწის ნაკვეთები ეძლევათ სარგებლობის უფლებით იმ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ სოფლად. ქალაქში მცხოვრები პირები არ სარგებლობენ სოფლად საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მიღების უფლებით.

ეკითხვა: **მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კომლში დავრჩი მარტო, მაქვს თუ არა უფლება კომლის წევრად მივიღო ჩემი სრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც 1958 წლიდან ჩემთან ცხოვრობს?**

მ. მაჭავარიანი,
თერჯოლის რაიონი.

პასუხი: კომლის სრულწლოვან წევრებს უფლება აქვთ კომლის წევრად მიიღონ ყოველი პირი, მიუხედავად მისი ასაკისა და ნათესაური კავშირისა. კომლის წევრთა თანხმობით კომლში მიღებული პირი უნდა გაფორმდეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოცემული კომლის შემადგენლობაში.

ეკითხვა: **ვმუშაობ დარაჯად, მოხუცებულობის პენსია მეკუთვნის თუ არა მთლიანად?**

ნ. ჯაკაბაძე,
თბილისი.

პასუხი: მოხუცებულობის პენსია სრული ოდენობით მიეცემათ მუშებს, უმცროს მომსახურე პერსონალს დარაჯებს, დამლაგებლებს, დამტარებლებს და ა. შ.] და ოსტატებს, საწარმოო სწავლების ოსტატების ჩათვლით, მუშაობის ადგილის მიუხედავად (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის № 995 დადგენილება). თქვენ შეგიძლიათ მოხუცებულობის პენსია მიიღოთ სრულად.

ეკითხვა: **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული მიწის კანონმდებლობის საფუძვლები არის თუ არა ძალაში და ვის მივმართოთ მისი გატარებისათვის?**

თ. გოგბაასლიძე,
ქუთაისი.

პასუხი: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული მიწის კანონმდებლობის საფუძვლები საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღებულია 1969 წლის 1 ივლისიდან. თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მიერ კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობას ახორციელებს პროკურატურის ორგანოები, ამიტომ კანონის დარღვევის შემთხვევებში შეგიძლიათ მიმართოთ პროკურორს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ობილისი. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66-10, განეოფილებებისა: პარტიული — 99 47 61, პროპაგანდის — 93 22-93, მრეწველობის — 93-20-24, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93 18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, ხატვრისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის—93-93-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 68443 უე 03202

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

25 მარტი

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსწავლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.30 — ლექცია ფიზიკაში, 12.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ვილური ძაღლი დინგო“, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი, 18.15 — ჭიანცხადიბები, 18.20 — ნახატი ფილმი „ჩხიკვთა ქორწილი“, 18.40 — ჟურნალი „კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე“, 19.30 — ჟურნალი „ჯინაჯურის ტუნგი“, 19.45 — „მუსიკალური კალენდარი“, 20.35 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირი-პოლონეთი — ბოლო პერიოდი (ჟურნალი შეეციიდან), 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.40 — ჟურნალი „კალენდარი“, 22.30 — კინონარკვევი, 22.45 — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დღეების ჟურნალი საბჭოთა კავშირში (ტრანსლაცია კრემლის კრილოლობათა სასახლიდან).

თეატრები

25 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დღისით), ლაურენსია (საღამოს, 28-ე აბონ. მე-10 წარმ.); **რუსთაველის სახელობის** — ფიდრა; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ძველი ოდესელები (დღისით), ალუდა ქეთელაური, სტუმარ-მასპინძელი (საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ბაბანინას ქორწილი (დღისით), ჩემი სიდედრი (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჯარი (№ 6 და 43 აბონ. 11 ს. და 30 წ.), დღეს ჩვენ ეფიქრობთ ბარათაშვილზე (№ 34 აბონ. 5 ს. და 30 წ.); **თოჯინების ქართული** — წითელი ეშმაკუნები (11 ს. მე-3, მე-4, 85-ე და 112-ე სკოლები, 1 ს. 53-ე სკოლა).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.